

# **უხსო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებები**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: [http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=133&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
სამოქალაქო საქმეებზე  
2016, №2

Decisions of the Supreme Court of Georgia  
**on Civil Cases**  
(in Georgian)  
2016, №2

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
**in Zivilsachen**  
(in der georgischen Sprache)  
2016, №2

Решения Верховного Суда Грузии  
**по гражданским делам**  
(на грузинском языке)  
2016, №2

გადაწყვეტილებების შერჩევასა  
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი **ქეთევან შინგალია**

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

**რედაქციის მისამართი:** 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების  
ქ. №32, ტელ: 298 21 03; [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო  
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

## თანხის დაკისრება

### ბანკინება

№ა-1747-შ-52-2014

9 თებერვალი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

#### აღწერილობითი ნაწილი:

რუსეთის ფედერაციის ნიჟეგოროდის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს 2012 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით შპს „ჩ. ტ-ს“ შპს „კ. გ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 70 228 355 რუბლი უსაფუძვლო გამდიდრების გამო, რომელის განხორციელება მოპასუხის ქონების გაუმჯობესების გზით მოსარჩელის საინვესტიციო სახსრების ხარჯზე, 13 036 122 რუბლი სხვისი ქონებით სარგებლობის პროცენტი, უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე, 3 519 741,79 რუბლი 01.03.2009 წლიდან 31.12.2009 წლამდე სხვისი ქონების შენახვის ხარჯები, 6 649 134,83 რუბლი 01.01.2010 წლიდან 24.20.2010 წლამდე მოპასუხის ქონების შენახვის ხარჯები, 26 644 995 რუბლი შპს „ჩ. ტ-ს“ კუთვნილ ვაგონ-ცისტერნებზე საბაჟო დოკუმენტების მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები, 108 730 722 რუბლი მიუღებელი შემოსავალი შპს „ტ.ტ-თან“ ხელშეკრულების მოშლის გამო, ასევე 145 289,58 რუბლი სახელმწიფო ბაჟი.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა შპს „კ. გ-ის“ წარმომადგენელმა ა. კ-ემ და მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

განცხადების ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული, მოპასუხე გაფრთხილებული იყო საქმის განხილვის თაობაზე, საქმეზე გაცემული სააღსრულებო ფურცელი არ ყოფილა წარდგენილი აღსასრულებლად.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა წარმოდგენილ შუამ-

დგომლობას და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 73<sup>1</sup>-ე მუხლის მიხედვით საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ხდება „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

„არბიტრაჟის შესახებ“ კანონის 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ ქვეყნის მიუხედავად, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, იგი შესასრულებლად სავალდებულოა და სასამართლოში წერილობითი შუამდგომლობის წარდგენის შემთხვევაში უნდა აღსრულდეს ამ მუხლისა და ამ კანონის 45-ე მუხლის დებულებათა გათვალისწინებით.

იმავე მუხლის თანახმად, საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასთან დაკავშირებულ შუამდგომლობებს განიხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა არ ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე მიუთითებს „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის 45-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ გარემოებებზე ან სასამართლო დაადგენს, რომ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, დავა არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების ცნობაზე უარის თქმის საფუძვლები. ამ გარემოების გათვალისწინებით, რუსეთის ფედერაციის ნიჟეგოროდის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს 2012 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება ცნობილ უნდა იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით, „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის 44-ე-45-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. შპს „კ. გ-ის“ შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;

2. ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის ნიჟეგოროდის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს 2012 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება (საქმე .....) და მიექცეს აღსასრულებლად;

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

## **თანხის დაკისრება**

### **განჩინება**

№ა-3661-შ-102-2014

20 აპრილი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. ბაქაქუჩი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავიძე**

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ეს საკონდიტრო ფაბრიკა „ლ. მ“ სარჩელი აღძრა უკრაინის ქალაქ კიევის სამეურნეო სასამართლოში შპს „ჯ.ე....“-ის მიმართ 27 021,27 აშშ დოლარის დაკისრების შესახებ (რაც სარჩელის შეტანის დღისათვის უკრაინის ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით შეადგენს 215 899,95 გრივნას).

უკრაინის ქალაქ კიევის სამეურნეო სასამართლოს 2014 წლის 5 აგვისტოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. მოპასუხე შპს „ჯ.ე....“-ს (მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ა-ის ქუჩა № ..., საიდენტიფიკაციო კოდი: ...) კერძო სააქციო საზოგადოება საკონდიტრო ფაბრიკა „ლ-სათვის“ (09200, უკრაინა, კიევის ოლქი, ქალაქი კაგარლიკი, ფ-ს ქუჩა, სახლი ..., საიდენტიფიკაციო კოდი: ...) ძირითადი ვალის თანხის – 27 021 (ოცდაშვიდი ათას ოცდაერთი) აშშ დოლარისა და 27 ცენტის და სასამართლო მოსაკრებლის – 4 320 (ოთხი ათას სამას ოცი) გრივნისა და 40 კაპიკის გადახდა დაეკისრა.

ეს საკონდიტრო ფაბრიკა „ლ. მ“ საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარდგენილი შუამდგომლობით მოითხოვა ქალაქ კიევის სამეურნეო სასამართლოს 2014 წლის 5 აგვისტოს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება თანხის დაკისრების თა-

ობაზე.

შუამდგომლობაზე დართული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ უკრაინის ქალაქ კიევის სამეურნეო სასამართლოს 2014 წლის 5 აგვისტოს გადაწყვეტილების გამოტანამდე საქმის წარმოების თაობაზე გაფრთხილებული იყო მოპასუხე შპს „ჯ.ე....“-ს, მას გაეგზავნა საქმის მასალები ქ. თბილისში, ა-ის ქ. №...-ში. 2014 წლის 5 აგვისტოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული ამავე წლის 22 აგვისტოს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 1 დეკემბრის განჩინებით კსს საკონდიტრო ფაბრიკა „ლ-ს“ შუამდგომლობა წარმოებაში იქნა მიღებული.

ზემოაღნიშნული განჩინების, შუამდგომლობისა და თანდართული მასალების ასლები მოპასუხე შპს „ჯ.ე....“-ს გაეგზავნა 2014 წლის 24 დეკემბერს და ჩაბარდა 2014 წლის 25 დეკემბერს.

2014 წლის 31 დეკემბერს საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოსაზრება წარმოადგინა შპს „ჯ.ე....“-მა და მოითხოვა მოცემული საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა. აღნიშნული შუამდგომლობა მოტივირებულია იმით, რომ უკრაინის ქალაქ კიევის სამეურნეო სასამართლოს 2014 წლის 5 აგვისტოს გადაწყვეტილება შპს „ჯ.ე....“-ს არ ჩაბარებია კანონით დადგენილი წესითა და პირობებით, შესაბამისად შპს „ჯ.ე....“-ისათვის უცნობი იყო გადაწყვეტილების არსებობის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე მას წაერთვა უფლება გაესაჩივრებინა არასასურველი გადაწყვეტილება, რომლის გასაჩივრების ვადაც, სამართლებრივი პრინციპებიდან გამომდინარე, უნდა ათვლილიყო გადაწყვეტილების ასლის ჩაბარების მომენტიდან. აღნიშნულთან ერთად მოწინააღმდეგე მხარე უთითებს იმ გარემოებაზეც, რომ შუამდგომლობას თან არ ერთვის სასამართლო გადაწყვეტილების დამონმებული ასლი და დამონმებული ქართული თარგმანი, რითაც დაირღვა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნები.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

უზენაესი სასამართლო გაცნო წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს, სასამართლო სხდომაზე მოუსმინა მოწინააღმდეგე მხარეს და მივიდა დასკვნამდე, რომ კსს საკონდიტრო ფაბრიკა „ლ-ს“ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, უკრაინის ქალაქ კიევის სამეურნეო სასამართლოს 2014 წლის 5 აგვისტოს გადაწყვეტილება ცნობილ იქნას და აღ-

სასრულებლად მიექცეს საქართველოს ტერიტორიაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

უზენაესი სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ უკრაინის ქალაქ კიევის სამეურნეო სასამართლოს 2014 წლის 5 აგვისტოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. მოპასუხე შპს „ჯ.ე....“-ს (მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ა-ის ქუჩა № ..., საიდენტიფიკაციო კოდი: ...) კერძო სააქციო საზოგადოება საკონდიტრო ფაბრიკა „ლ-სათვის“ (09200, უკრაინა, კიევის ოლქი, ქალაქი კაგარლიკი, ფ-ს ქუჩა, სახლი 99, საიდენტიფიკაციო კოდი: ...) ძირითადი ვალის თანხის – 27 021 (ოცდაშვიდი ათას ოცდაერთი) აშშ დოლარისა და 27 ცენტის და სასამართლო მოსაკრებლის – 4 320 (ოთხი ათას სამას ოცი) გრივნისა და 40 კაპიკის გადახდა დაეკისრა.

შუამდგომლობაზე დართული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ქალაქ კიევის სამეურნეო სასამართლოს 2014 წლის 5 აგვისტოს გადაწყვეტილების გამოტანამდე საქმის წარმოების თაობაზე გაფრთხილებული იყო მოპასუხე შპს „ჯ.ე....“-ს, მას გაეგზავნა და ჩაბარდა საქმის მასალები ქ. თბილისში, ა-ის ქ. №...-ში. აღნიშნული ფაქტი, შპს „ჯ.ე....“-ის წარმომადგენელმა სასამართლო სხდომაზეც დაადასტურა.

მიუხედავად აღნიშნულისა, შპს „ჯ.ე....“ არ გამოცხადებულა 2014 წლის 5 აგვისტოს ქ. კიევის სამეურნეო სასამართლოში საქმის განხილვაზე და მისთვის არც რაიმე შუამდგომლობით ან განცხადებით მიუმართავს სასამართლო სხდომამდე ან სასამართლო სხდომის შემდეგ.

საქმის მასალებით ასევე დასტურდება, რომ ქ. კიევის სასამართლოში საქმის განხილვის მიმდინარეობის დროს შპს „ჯ.ე....“-მა შეიცვალა იურიდიული მისამართი, კერძოდ, ნაცვლად ქ. კიევის სამეურნეო სასამართლოს 2014 წლის 5 აგვისტოს გადაწყვეტილებაში მითითებული მისამართისა: ქ. თბილისი, ა-ის ქ. №..., 2014 წლის 6 აგვისტოდან შპს „ჯ.ე....“-ის იურიდიული მისამართი გახდა: ქ. თბილისი, ა-ის შესახვევი №... შპს „ჯ.ე....“-ის წარმომადგენლის განმარტებით, მას მისამართის ცვლილების თაობაზე სასამართლოსთვის არ შეუტყობინებია.

ქ. კიევის სამეურნეო სასამართლოს 2014 წლის 5 აგვისტოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქ. კიევის სამეურნეო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შედის გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, თუ სააპელაციო საჩივარი არ იქნება წარდგენილი. იმავე გადაწყვეტილების მე-3 პუნქტის შესაბამისად, სასამართლოს

გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისათვის გამოიცემა ბრძანება.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2014 წლის 22 აგვისტოს ქ. კიევის სამეურნეო სასამართლოს №... ბრძანების შესაბამისად, ქ. კიევის სამეურნეო სასამართლოს 2014 წლის 5 აგვისტოს გადაწყვეტილება 2014 წლის 22 აგვისტოს შევიდა კანონიერ ძალაში.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველო არ ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებას, თუ გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს. თითოეული პირის უფლების სასამართლო წესით დაცვის უზრუნველყოფა საქართველოს ძირითადი სამართლებრივი პრინციპია, რომელიც სამოქალაქო დავებთან დაკავშირებით განმტკიცებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით, რომლის თანახმად, ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა, ასევე, ამავე კოდექსის მე-5 მუხლით, რომლის თანახმად, მართლმსაჯულებას სამოქალაქო საქმეებზე ახორციელებს მხოლოდ სასამართლო კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა პირის თანასწორობის საწყისებზე და მზ-ე მუხლით, რომლის თანახმად, მხარეები სარგებლობენ თანაბარი საპროცესო უფლებებით. მათ უფლება აქვთ გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღოს ასლები, განაცხადონ აცილებანი, წარადგინონ მტკიცებულებანი, მათ შორის, ექპერტის (საექსპერტო დაწესებულების) დასკვნები, სპეციალისტის ცნობები, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვან მოწმეებს, ექპერტებს, სპეციალისტებს, სასამართლოს წინაშე განაცხადონ შუამდგომლობები, მისცენ სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი, წარადგინონ იმავე ტიპის საქმეზე სხვა სასამართლოს გადაწყვეტილებანი, წარადგინონ თავიანთი დასკვნები და გამოთქვან მოსაზრებანი საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყონ მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, გაასაჩივრონ სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინებები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის VIII თავით განსაზღვრულია ის უფლება-მოვალეობები და ქცევის წესები, რომლებსაც სასამართლო და მხარეები იყენებენ კომუნიკაციისას. აღნიშნული თავის 70.1-ე მუხლის შესაბამისად, მხარეს ან მის წარმო-



მადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენელისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს; იმავე თავის 71.1-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო უწყება ადრესატს ბარდება მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფელის), ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის, სასამართლოსათვის ცნობილი სხვა მისამართის ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესის მიხედვით; ხოლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის შესაბამისად, მხარეები და მათი წარმომადგენლები მოვალენი არიან აცნობონ სასამართლოს საქმის წარმოების განმავლობაში თავიანთი მისამართის შეცვლის შესახებ. ასეთი ცნობის უქონლობისას უწყება გაიგზავნება სასამართლოსათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე და ჩაბარებულად ითვლება, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე აღარ ცხოვრობდეს.

დადგენილია, რომ შპს „ჯ.ე...“-მა 2014 წლის 6 აგვისტოს შეიცვალა იურიდიული მისამართი, თუმცა მას აღნიშნულის თაობაზე ქ. კიევის სამეურნეო სასამართლოსათვის არ შეუტყობინებია. ასეთ პირობებში სასამართლოსათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე მხარისათვის გაგზავნილი უწყება ჩაბარებულად ითვლება.

მოწინააღმდეგე მხარე ვერ უთითებს, აგრეთვე, ისეთ გარემოებებზე, რომლებიც გამორიცხავს მისთვის 2014 წლის 6 აგვისტომდე არსებულ იურიდიულ მისამართზე სასამართლო გადაწყვეტილების კანონით დადგენილი წესით გაგზავნას და ჩაბარებას. სასამართლო ბრძანების არსებობა, რომლის თანახმადაც, სასამართლოს გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში, ქმნის პრეზუმფციას, რომ გადაწყვეტილება კანონით დადგენილი წესით გაეგზავნათ და ჩაბარდათ საქმის მონაწილე მხარეებს, რომლებსაც ის კანონით დადგენილ ვადაში არ გაუსაჩივრებიათ. აღნიშნული პრეზუმფციის გასაქარწყლებლად მხარემ ვერ მიუთითა ვერცერთ გარემოებაზე, გარდა განცხადებისა, რომ მას სასამართლო გადაწყვეტილება არც ძველ მისამართზე ჩაბარებია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ვერ გაიზიარებს მხარის მითითებას, რომ ქ. კიევის სამეურნეო სასამართლოს მხრიდან მის მიმართ ადგილი ჰქონდა რაიმე საპროცესო დარღვევას მხარისათვის გადაწყვეტილების ჩაბარებასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება მხარის მითითებას, რომ შუამდგომლობას თან არ ერთვის სასამართლო გადაწყვეტილების დამონმებული ასლი და დამონმებული ქართული თარგმანი, სასამართლო ვერ გაიზიარებს, რომ აღნიშნული ქ. კიევის სამეურნეო სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველია შემდეგ გარემოებათა გამო:

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, შუამდგომლობას აღსრულებისათვის თან უნდა დაერთოს სასამართლო გადაწყვეტილების დამონმებული ასლი და დამონმებული ქართული თარგმანი, აგრეთვე, ცნობა გადაწყვეტილების ძალაში შესვლისა და მისი აღსრულების აუცილებლობის შესახებ, თუ ეს შუამდგომლობის ტექსტიდან არ გამომდინარეობს.

ზემოაღნიშნულ კანონთან ერთად დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოები, რომლებსაც მიეკუთვნებიან საქართველო და უკრაინა, საკუთარ ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების პროცესში ხელმძღვანელობენ კონვენციით „სამართალთა, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“. აღნიშნული კონვენციის მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, დოკუმენტები, რომლებიც ერთი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე დამზადებულია ან დამონმებული სპეციალურად მასზე უფლებამოსილი პირის მიერ მისი კომპეტენციის ფარგლებში და დადგენილი ფორმით და განმტკიცებულია გერბიანი ბეჭდით, სხვა ხელშემკვრელი მხარეების ტერიტორიაზე მიიღება რაიმე სპეციალური მოწმობის გარეშე, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დოკუმენტები, რომლებიც ერთი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე განიხილება, როგორც ოფიციალური დოკუმენტები, სხვა ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე სარგებლობენ ოფიციალური დოკუმენტების მტკიცებულებითი ძალით.

ამავე კონვენციის მე-17 მუხლის შესაბამისად, ერთმანეთთან ურთიერთობაში წინამდებარე კონვენციის აღსრულებისას ხელშემკვრელ მხარეთა იუსტიციის დანესებულებები სარგებლობენ ხელშემკვრელი მხარეების სახელმწიფო ენებით ან რუსული ენით.

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი

იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ უკრაინის ქ. კიევის სამეურნეო სასამართლოს 2014 წლის 5 აგვისტოს გადაწყვეტილება წარმოდგენილია ასლის სახით უკრაინულ ენაზე რუსული თარგმანის თანხლებით, რომელიც აკინძულია ერთ დოკუმენტად და დამონმებულია უკრაინის კერძო ნოტარიუსის ს. კ-ს მიერ (რეესტრში რეგისტრაციის №..), ხოლო ქ. კიევის სამეურნეო სასამართლოს 2014 წლის 22 აგვისტოს ბრძანება №910/20886/13, რომლითაც კანონიერ ძალაში შევიდა 2014 წლის 5 აგვისტოს გადაწყვეტილება, წარმოდგენილია ორიგინალის სახით უკრაინულ ენაზე, რომელზეც განხორციელებულია მოსამართლის ხელმოწერა და დამონმებულია ქ. კიევის სამეურნეო სასამართლოს ბეჭდით, რუსული თარგმანის თანხლებით, რომელიც აკინძულია ბრძანებასთან ერთად ერთ დოკუმენტად და დამონმებულია უკრაინის კერძო ნოტარიუსის ს. კ-ს მიერ (რეესტრში რეგისტრაციის №...).

ამრიგად, წარმოდგენილი დოკუმენტები შეესაბამება „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ კონვენციის მე-13 და მე-17 მუხლების მოთხოვნებს. შესაბამისად, არ არსებობს აღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებად მიქცევაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული საფუძველი.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია 68-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. უზენაეს სასამართლოს მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამატკობლებელი გარემოებები არ არსებობს. რაც შეეხება მითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებას, პალატა ასევე მიიჩნევს, რომ არც ამ ნაწილში არსებობს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, ვინაიდან, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას, ამავე კანონის 71-ე მუხლით კი დადგენილია წინაპირობები, თუ რა შემ-

თხვევაშია შესაძლებელი უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიტყვევა. უზენაესი სასამართლო საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში კანონის ზემოხსენებული დანაწესები დაცულია. ამდენად, უკრაინის ქალაქ კიევის სამეურნეო სასამართლოს 2014 წლის 5 აგვისტოს გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. კსს საკონდიტრო ფაბრიკა „ლ-ს“ შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და დაექვემდებაროს აღსრულებას უკრაინის ქალაქ კიევის სამეურნეო სასამართლოს 2014 წლის 5 აგვისტოს გადაწყვეტილება, რომლითაც: კსს საკონდიტრო ფაბრიკა „ლ.ს“ სარჩელი დაკმაყოფილდა. მოპასუხე შპს „ჯ.ე....“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: ...) კერძო სააქციო საზოგადოება საკონდიტრო ფაბრიკა „ლ-სათვის“ (09200, უკრაინა, კიევის ოლქი, ქალაქი კაგარლიკი, ფ-ს ქუჩა, სახლი ..., საიდენტიფიკაციო კოდი: ...) ძირითადი ვალის თანხის – 27 021 (ოცდაშვიდი ათას ოცდაერთი) აშშ დოლარისა და 27 ცენტის და სასამართლო მოსაკრებლის – 4 320 (ოთხი ათას სამას ოცი) გრივნისა და 40 კაპიკის გადახდა დაეკისრა;

3. უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# თანხის დაკისრება

## ბანკინება

№ა-1018-შ-24-2015

18 მაისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

### აღწერილობითი ნაწილი:

შპს „ტ-კ.ს.ტ-მა“ სარჩელი აღძრა უკრაინის ქ. კიევის სამეურნეო სასამართლოში შპს „ს.ს.ა-ის“ მიმართ 13 327.72 ევროს (რაც სარჩელის შეტანის დღისათვის უკრაინის ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით შეადგენს 219 986.01 გრივნას) დაკისრების შესახებ.

უკრაინის ქ. კიევის სამეურნეო სასამართლოს 2014 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. შპს „ს.ს.ა-ს“ (მისამართი: საქართველო..., ქ. ქობულეთი, წ-ის ქ. ..., საიდენტიფიკაციო კოდი: ...) შპს „ტ-კ.ს.ტ-ისათვის“ (...), ქ. კიევის სვიატოშინის რაიონი, ჩ-ას ქ. ..., საიდენტიფიკაციო კოდი: ...) ძირითადი დავალიანების თანხის – 11 734.00 (თეთრმეტი ათას შვიდასოცდაათობხმეტი) ევროსა და 00 ცენტის; წლიური სამი პროცენტის 269.77 (ორასსამოცდაცხრა) ევროსა და 77 ცენტის და სასამართლოს გადასახადის – 3 807.60 (სამი ათას რვაასშვიდი) გრივნისა და 60 კაპიკის გადახდა დაეკისრა.

შპს „ტ-კ.ს.ტ-მა“ საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარდგენილი შუამდგომლობით მოითხოვა ქ. კიევის სამეურნეო სასამართლოს 2014 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება თანხის დაკისრების თაობაზე.

შუამდგომლობაზე დართული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ უკრაინის ქ. კიევის სამეურნეო სასამართლოს 2014 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილების გამოტანამდე საქმის წარმოების თაობაზე გაფრთხილებული იყო მოპასუხე შპს „ს.ს.ა-ი“. 2014 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული 2014 წლის 30 სექტემბერს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 3 აპრილის განჩინებით შპს „ტ-კ.ს.ტ-ის“ შუამდგომლობა წარმოებაში იქნა მიღებული.

ზემოაღნიშნული განჩინების, შუამდგომლობისა და თანდართული მასალების ასლები მოპასუხე შპს „ს.ს.ა-ს“, გაეგზავნა 2015 წლის 7 და 30 აპრილს და ჩაბარდა 2015 წლის 6 მაისს, თუმცა მას განჩინებით განსაზღვრულ ვადაში აღნიშნულ შუამდგომლობაზე აზრი არ გამოუთქვამს, ასევე, არ მოუთხოვია საქმის ზეპირი განხილვა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს და მივიდა დასკვნამდე, რომ შპს „ტ-კ.ს.ტ-ის“ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, უკრაინის ქ. კიევის სამეურნეო სასამართლოს 2014 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება ცნობილ იქნას და აღსასრულებლად მიექცეს საქართველოს ტერიტორიაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგინდად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ უკრაინის ქ. კიევის სამეურნეო სასამართლოს 2014 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. შპს „ს.ს.ა-ს“ (მისამართი: საქართველო ..., ქ. ქობულეთი, წ-ის ქ. ..., საიდენტიფიკაციო კოდი: ...) შპს „ტ-კ.ს.ტ-ისათვის“ (...), ქ. კიევის სვიატოშინის რაიონი, ჩ-ას ქ. ..., საიდენტიფიკაციო კოდი: ...) ძირითადი დავალიანების თანხის – 11 734.00 (თეთრმეტი ათას შვიდასოცდაათობმეტი) ევროსა და 00 ცენტის; წლიური სამი პროცენტის 269.77 (ორასსამოცდაცხრა) ევროსა და 77 ცენტის და სასამართლოს გადასახადის – 3 807.60 (სამი ათას რვაასშვიდი) გრივნისა და 60 კაპიკის გადახდა დაეკისრა.

შუამდგომლობაზე დართული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ უკრაინის ქ. კიევის სამეურნეო სასამართლოს 2014 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილების გამოტანამდე საქმის წარმოების თაობაზე გაფრთხილებული იყო მოპასუხე შპს „ს.ს.ა-ი“. 2014 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული 2014 წლის 30 სექტემბერს.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კა-

ნონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია 68-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. რაც შეეხება მითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებას, პალატა ასევე მიიჩნევს, რომ არც ამ ნაწილში არსებობს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, ვინაიდან, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას, ამავე კანონის 71-ე მუხლით კი დადგენილია წინაპირობები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევა. საკასაციო პალატა საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში კანონის ზემოხსენებული დანაწესები დაცულია. ამდენად, უკრაინის ქ. კიევის სამეურნეო სასამართლოს 2014 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. შპს „ტ-კ.ს.ტ-ის“ შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და დაექვემდებაროს აღსრულებას უკრაინის ქ. კიევის სამეურნეო სასამართლოს 2014 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც: შპს „ტ-კ.ს.ტ-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. შპს „ს.ს.ა-ს“ (მისამართი: საქართველო ..., ქ. ქობულეთი, ნ-ის ქ. ..., საიდენტიფიკაციო კოდი: ....) შპს „ტ-კ.ს.ტ-ისათვის“ (...), ქ. კიევის ს-ის რაიონი, ჩ-ას ქ. ..., საიდენტიფიკაციო კოდი: ...) ძირითადი დავალიანების თანხის – 11 734.00 (თეთრმეტყ ათას შვიდა-

სოცდათოთხმეტი) ევროსა და 00 ცენტის; წლიური სამი პროცენტის 269.77 (ორასსამოცდაცხრა) ევროსა და 77 ცენტის და სასამართლოს გადასახადის – 3 807.60 (სამი ათას რვაასშვიდი) გრივნისა და 60 კაპიკის გადახდა დაეკისრა;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **თანხის დაკისრება**

### **განჩინება**

№ა-2595-შ-55-2015

8 ივლისი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ბაქაქუჩი,  
ბ. ალავიძე**

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ყაზახეთის რესპუბლიკის მანგისტაუსკის სპეციალიზირებული რაიონთაშორისო ეკონომიკური სასამართლოს 2015 წლის 20 მარტის გადაწყვეტილებით შპს ს-ს“ ინდივიდუალური მენარმე ა. ნ-ას სასარგებლოდ დაეკისრა ძირითადი დავალიანების – 2 566 666 ტენგესა და სახელმწიფო ბაჟის ხარჯების – 25 667 ტენგეს გადახდა.

ინდივიდუალური მენარმე ა. ნ-ამ განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, კერძოდ, შპს ს-ის“ უძრავი და მოძრავი ქონების დაყადაღება 2 592 333 (2 566 666+25667) ტენგეს ფარგლებში.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური მენარმე ა. ნ-ას განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის



სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

განსახილველ შემთხვევაში ინდივიდუალური მენარმე ა. ნ-ამ მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ყაზახეთის რესპუბლიკის მანგისტაუსკის სპეციალიზირებული რაიონთაშორისო ეკონომიკური სასამართლოს 2015 წლის 20 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების მიზნით.

საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნების სასამართლოების შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარებისათვის ცალკეულ საპროცესო მოქმედებათა შესრულების თაობაზე ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამდენად, მითითებული ნორმის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულებისას ხელმძღვანელობს ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი ნორმებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საქართველოს საერთო სასამართლოებში სამოქალაქო საქმეებს განიხილავენ ამ კოდექსით დადგენილი წესით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების არსი მდგომარეობს იმაში, რომ სასარჩელო წესით საქმის სასამართლოში განხილვის ეტაპზე თავიდან იქნეს აცილებული ისეთი ქმედების განხორციელება, რაც ხელს შეუშლის ან შეუძლებელს გახდის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 193-ე მუხლის შესაბამისად განცხადებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტს ამ სარჩელის განმხილველი სასამართლო.

მოცემულ შემთხვევაში ინდივიდუალური მენარმე ა. ნ-ამ მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება იმ საქმეზე, რომელიც ყაზახეთის რესპუბლიკის მანგისტაუსკის სპეციალიზირებული რაიონთაშორისო ეკონომიკური სასამართლოს წარმოებაში იყო.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენცია შემოიფარგლება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებით, ხოლო სარჩელის ან მიღებული გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ სასამართლოს მიერ, რომელიც შესაბამის დავას განიხილავს.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს განცხადების დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

**და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ინდივიდუალური მეწარმე ა. ნ-ას განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**თანხის დაკისრება**

**განჩინება**

№ა-3955-შ-109-2014

17 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ბაქაქუჩი,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** დავალიანებისა და პირგასამტეხლოს ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

შპს „რ-იმ“ სარჩელი აღძრა სასამართლოში რუსეთის ფედერაციის კემეროვსკის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოში შპს „F-ის“ მიმართ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, დავალიანების – 32989 ევროსა და პირგასამტეხლოს – 1606,56 ევროს ანაზღაურება.

რუსეთის ფედერაციის კემეროვსკის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის 12 მაისის გადაწყვეტილებით შპს „რ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა, შპს „F-ს“ მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა დავალიანების – 32989 ევროს, პირგასამტეხლოს – 1606,56 ევროსა და სახელმწიფო ბაჟის – 28572,02 რუბლის ანაზღაურება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილების შესწავლით ირკვევა, რომ მოპასუხეს ეცნობა საქმის განხილვის დრო, დასტურდება, რომ გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში 2014 წლის 17 ივნისიდან და რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

რუსეთის ფედერაციის კემეროვსკის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს მოსამართლე ა.ვ.დ.-იმ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს რუსეთის ფედერაციის კემეროვსკის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის 12 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 24 მარტის განჩინებით რუსეთის ფედერაციის კემეროვსკის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს მოსამართლე ა.ვ.დ.-ის შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის კემეროვსკის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის 12 მაისის გადაწყვეტილების სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა წარმოდგენილ შუამდგომლობას, თანდართულ მასალებს და თვლის, რომ რუსეთის ფედერაციის კემეროვსკის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს მოსამართლე ა.ვ.დ.-ის შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის კემეროვსკის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის 12 მაისის გადაწყვეტილების სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ რუსეთის ფედერაციის კემეროვსკის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის 12 მაისის გადაწყვეტილებით შპს „რ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა, შპს „F-ს“ მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა დავალიანების – 32989 ევროს, პირგასამტეხლოს – 1606,56 ევროსა და სახელმწიფო ბა-

ჟის – 28572,02 რუბლის ანაზღარება. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2014 წლის 17 ივნისს და რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამატკიცებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, რუსეთის ფედერაციის კემეროვსკის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის 12 მაისის გადაწყვეტილება სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. რუსეთის ფედერაციის კემეროვსკის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს მოსამართლე ა.ვ.დ-ის შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის კემეროვსკის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის 12 მაისის გადაწყვეტილების სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად რუსეთის ფედერაციის კემეროვსკის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის 12 მაისის გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „F-ს“ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 28572,02 რუბლის გადახდა.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# თანხის დაკისრება

## ბანკინება

№ა-259-შ-4-2015

5 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე),**

**ბ. ალავიძე**

**ზ. ძლიერიშვილი**

გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას მოითხოვს მხარე – ბელარუსის რესპუბლიკის ქ.გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოს 2011 წლის 9 თებერვლის განაჩენის (ნანილობრივ) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება; ბელარუსის რესპუბლიკის ქ.გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოს 2011 წლის 14 იანვრისა და 2011 წლის 9 თებერვლის დადგენილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. ბელარუსის რესპუბლიკის ქ.გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოს 2011 წლის 9 თებერვლის განაჩენით:

ა. გ. მ-ის ძე ჩ-ეს ზ. გ-ის ასული ხ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის ანაზღაურება 4 646 900 რუბლის ოდენობით.

ბ. ამავე განაჩენით გ. მ-ის ძე ჩ-ეს სახელმწიფოს სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟი – 232 345 რუბლი და, აგრეთვე, პროცესუალური ხარჯები – 5 340 რუბლი.

2. განაჩენის გამოტანამდე – 2011 წლის 14 იანვარს, ბელარუსის რესპუბლიკის ქ.გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლომ მიიღო დადგენილება, რომლის საფუძველზეც ბრალდებულ გ. მ-ის ძე ჩ-ეს დაეკისრა 88 500 რუბლის ოდენობით ადვოკატის შრომითი გასამრჯელოს გადახდა (იხ.: ბელარუსის რესპუბლიკის ქ.გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოს 2011 წლის 14 იანვრის დადგენილება და მასზე გაცემული სააღსრულებო ფურცელი).

3. ბელარუსის რესპუბლიკის ქ.გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოს 2011 წლის 9 თებერვლის დადგენილების საფუძველზე ბრალდებულ გ. მ-ის ძე ჩ-ეს ასევე დაეკისრა ადვოკატის შრომითი გასამრჯელოს გადახდა 88 500 რუბლის ოდენობით

(იხ.: ბელარუსის რესპუბლიკის ქ.გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოს 2011 წლის 9 თებერვლის დადგენილება და მასზე გაცემული სააღსრულებო ფურცელი).

4. საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართეს ერთი მხრივ, ზ. ხ-მა და მეორე მხრივ, ბელარუსის რესპუბლიკის ქ.გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლომ.

5. ზ. გ-ის ასული ხ-ი მოითხოვს დასახელებული განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას იმ ნაწილში, რომლითაც გ. მ-ის ძე ჩ-ეს ზ. გ-ის ასული ხ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის ანაზღაურება 4 646 900 რუბლის ოდენობით.

6. რაც შეეხება ბელარუსის რესპუბლიკის ქ.გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოს შუამდგომლობის მოთხოვნას, აღნიშნულს წარმოადგენს ბელარუსის რესპუბლიკის ქ.გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოს 2011 წლის 9 თებერვლის განაჩენის, აგრეთვე, ბელარუსის რესპუბლიკის ქ.გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოს 2011 წლის 14 იანვრისა და 2011 წლის 9 თებერვლის დადგენილებების (იხ.: ბელარუსის რესპუბლიკის ქ.გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოს 2011 წლის 14 იანვრისა და 2011 წლის 9 თებერვლის დადგენილებები და მათზე გაცემული სააღსრულებო ფურცლები, საქართველოს ტერიტორიაზე იმ ნაწილში ცნობა და აღსრულება, რომლებითაც:

გ. მ-ის ძე ჩ-ეს სახელმწიფოს სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟი – 232 345 რუბლი (იხ.: ბელარუსის რესპუბლიკის ქ.გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოს 2011 წლის 9 თებერვლის განაჩენი), პროცესუალური ხარჯები – 5 340 რუბლი (იხ.: ბელარუსის რესპუბლიკის ქ.გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოს 2011 წლის 9 თებერვლის განაჩენი), ადვოკატის შრომითი გასამრჯელო – 88 500 რუბლი, ადვოკატის შრომითი გასამრჯელო – 88 500 რუბლი (იხ.: ბელარუსის რესპუბლიკის ქ.გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოს 2011 წლის 9 თებერვლის დადგენილება და მასზე გაცემული სააღსრულებო ფურცელი).

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 9 თებერვლის განჩინებით ზ. ხ-ისა და ბელარუსის რესპუბლიკის ქ.გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოს შუამდგომლობები შესაბამის ნაწილებში მიღებულ იქნა წარმოებაში.

8. საკასაციო სასამართლოს დასახელებული განჩინების, ისევე როგორც, ზემომითითებული შუამდგომლობებისა და მათზე თანდართული მასალების ასლები მოწინააღმდეგე მხარე გ. მ-

ის ძე ჩ-ეს გაეგზავნა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლების შესაბამისად, საქმის მასალებში არსებულ მისამართზე – ბ, ჯ-ის №... მიუხედავად ამისა, ადრე-სატისათვის მათი ჩაბარება ვერ მოხერხდა. საკასაციო სასამართლოში დაბრუნებულ საფოსტო კონვერტზე გზავნილის ჩაუბარებლობის მიზეზად მითითებულია იმ გარემოებაზე, რომ ხსენებულ მისამართზე აღნიშნულ პიროვნებას არავინ იცნობს.

9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2015 წლის 15 თებერვალს მიიღო განჩინება, რომლითაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ა/რ-ის მთავარ სამმართველოს დაავალა ამ განჩინების ასლის ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში გ. მ-ის ძე ჩ-ისთვის (მისამართი: ბ., ჯ-ის №...) ჩაებარებინა ზ. ხ-ისა და ბელარუსის რესპუბლიკის ქ.გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოს შუამდგომლობების, მათზე თანდართული მასალების და შუამდგომლობათა წარმოებაში მიღების შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 9 თებერვლის განჩინების ასლები. მასვე დაევალა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატისათვის ეცნობებინა დასახელებული კორესპონდენციების ჩაბარების, ჩაბარების შეუძლებლობის მიზეზების ან ჩაბარებაზე უარის თქმის შესახებ.

10. ამის შემდგომ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ა/რ-ის მთავარი სამმართველოს ქ.ბ-ის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-3 განყოფილების უფროსმა საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოადგინა წერილობითი მომართვა, რომელსაც თან დაურთო ხსენებული განყოფილების ინსპექტორ-გამომძიებლის, გ-ი ა-ის მიერ შედგენილი ბინაზე შემონმების ოქმი. ოქმის მიხედვით, გ. მ-ის ძე ჩ-ისათვის საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესაბამისი განჩინების ჩაბარების მიზნით, დასახელებული ინსპექტორ-გამომძიებელი გამოცხადდა ქ.ბა-ში, ი-ის (ყოფილი ჯ-ის) №...-ში, თუმცა იქვე მცხოვრები ზ. დ-ის განმარტებით, ადრესატი აღნიშნულ მისამართზე არ ცხოვრობს და სხვა მასთან დაკავშირებული მონაცემები მისთვის უცნობია.

11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 მარტის განჩინებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დაევალა მოცემული განჩინების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოედგინა ინფორმაცია 198... წლის ... მაისს დაბადებული გ. მ-ის

ქე ჩ-ის საცხოვრებელი ადგილის თაობაზე ან მის რეგისტრაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

12. ხსენებული განჩინების პასუხად, 2015 წლის 14 აპრილს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ საქართველოს უზენაეს სასამართლოს წერილობით აცნობა, რომ სააგენტოს მონაცემებით, მოქალაქე გ. მ-ის ქე ჩ-ე (დაბ. 1982 წლის 14 მაისს) 2007 წლის 16 ნოემბრიდან რეგისტრირებულია მისამართზე: ხელვაჩაური, სოფელი სალიბაური.

13. მოგვიანებით, საკასაციო სასამართლოს 2015 წლის 9 თებერვლის განჩინების, აგრეთვე, წარმოდგენილი შუამდგომლობებისა და მათზე თანდართული მასალების ასლები მოწინააღმდეგე მხარე გ. მ-ის ქე ჩ-ეს გაეგზავნა შემდეგ მისამართზე – ხ-რი, სოფელი ს-რი, თუმცა ადრესატისათვის მათი ჩაბარება ამჯერადაც ვერ მოხერხდა. საკასაციო სასამართლოში დაბრუნებულ საფოსტო კონვერტზე გზავნილის ჩაუბარებლობის მიზეზად მითითებულია იმ გარემოებაზე, რომ „ასეთ პიროვნებას ვერ იცნობენ“.

14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 27 აპრილის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ა/რ-ის მთავარ სამმართველოს დაევალა აღნიშნული განჩინების ასლის ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში გ. მ-ის ქე ჩ-ისათვის (მისამართი: ხელვაჩაური, სოფ. სალიბაური) ჩაებარებინა ზ. ხ-ისა და ბელარუსის რესპუბლიკის ქ.გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოს შუამდგომლობების, მათზე თანდართული მასალების და შუამდგომლობათა წარმოებაში მიღების შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 9 თებერვლის განჩინების ასლები. მასვე დაევალა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატისათვის ეცნობებინა დასახელებული კორესპონდენციების ჩაბარების, ჩაბარების შეუძლებლობის მიზეზების ან ჩაბარებაზე უარის თქმის შესახებ.

15. 2015 წლის 29 მაისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ა/რ-ის მთავარმა სამმართველომ საქართველოს უზენაეს სასამართლოს წერილობით მომართა, რა დროსაც აღნიშნა, რომ საკასაციო სასამართლოს გზავნილში მითითებულ მისამართზე – ხ-ის რაიონის სოფელ ს-რში, გ. მ-ის ქე ჩ-ე არ ცხოვრობს და მითითებული გზავნილის ჩაბარება ვერ მოხერხდა.



16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 2 ივლისის განჩინებით განხორციელდა ამავე სასამართლოს 2015 წლის 9 თებერვლის განჩინების გამოქვეყნება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საპროცესო მოქმედების – საჯარო შეტყობინების მეშვეობით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

17. საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ზ. ხ-ისა და ბელარუსის რესპუბლიკის ქ.გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოს შუამდგომლობები უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

18. დადგენილია, რომ ბელარუსის რესპუბლიკის ქ.გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოს 2011 წლის 9 თებერვლის განაჩენით გ. მ-ის ძე ჩ-ეს ზ. გ-ის ასული ხ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის ანაზღაურება 4 646 900 რუბლის ოდენობით.

19. ამავე განაჩენით გ. მ-ის ძე ჩ-ეს სახელმწიფოს სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟი – 232 345 რუბლი და აგრეთვე, პროცესუალური ხარჯები – 5 340 რუბლი.

20. განაჩენის გამოტანამდე – 2011 წლის 14 იანვარს, ბელარუსის რესპუბლიკის ქ.გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლომ მიიღო დადგენილება, რომლის საფუძველზეც ბრალდებულ გ. მ-ის ძე ჩ-ეს დაეკისრა 88 500 რუბლის ოდენობით ადვოკატის შრომითი გასამრჯელოს გადახდა (იხ.: ბელარუსის რესპუბლიკის ქ.გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოს 2011 წლის 14 იანვრის დადგენილება და მასზე გაცემული სააღსრულებო ფურცელი).

21. ბელარუსის რესპუბლიკის ქ.გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოს 2011 წლის 9 თებერვლის დადგენილების საფუძველზე ბრალდებულ გ. მ-ის ძე ჩ-ეს ასევე დაეკისრა ადვოკატის შრომითი გასამრჯელოს გადახდა 88 500 რუბლის ოდენობით (იხ.: ბელარუსის რესპუბლიკის ქ.გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოს 2011 წლის 9 თებერვლის დადგენილება და მასზე გაცემული სააღსრულებო ფურცელი).

22. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3

და მე-4 ნაწილებით.

23. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, კერძოდ, საქმის მასალებით ირკვევა, რომ დასახელებული განაჩენი ზემომითითებულ ნაწილებში კანონიერ ძალაშია შესული და აღსრულებას ექვემდებარება, ასევე დგინდება, რომ მოპასუხე მხარე სათანადო წესით იყო ინფორმირებული საქმის სასამართლო განხილვის დროისა და ადგილის თაობაზე.

24. ამავდროულად, არსებობს დასახელებული განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევის კანონით გათვალისწინებული საფუძველი, კერძოდ, შუამდგომლობა აკმაყოფილებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.

25. ამდენად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად უნდა მიექცეს:

ა. ბელარუსის რესპუბლიკის ქ.გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოს 2011 წლის 9 თებერვლის განაჩენი იმ ნაწილში, რომლითაც გ. მ-ის ძე ჩ-ეს ზ. გ-ის ასული ხ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის ანაზღაურება 4 646 900 რუბლის ოდენობით;

ბ. ბელარუსის რესპუბლიკის ქ.გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოს 2011 წლის 14 იანვრის დადგენილება, რომლის საფუძველზეც ბრალდებულ გ. მ-ის ძე ჩ-ეს დაეკისრა 88 500 რუბლის ოდენობით ადვოკატის შრომითი გასამრჯელოს გადახდა (იხ.: ბელარუსის რესპუბლიკის ქ.გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოს 2011 წლის 14 იანვრის დადგენილება და მასზე გაცემული სააღსრულებო ფურცელი).

გ. ბელარუსის რესპუბლიკის ქ.გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოს 2011 წლის 9 თებერვლის დადგენილება, რომლის საფუძველზეც ბრალდებულ გ. მ-ის ძე ჩ-ეს დაეკისრა 88 500 რუბლის ოდენობით ადვოკატის შრომითი გასამრჯელოს გადახდა (იხ.: ბელარუსის რესპუბლიკის ქ.გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოს 2011 წლის 9 თებერვლის დადგენილება და მასზე გაცემული სააღსრულებო ფურცელი).

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხ-

ლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

## **და ა დ გ ი ნ ა :**

1. ზ. ხ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად ბელარუსის რესპუბლიკის ქ.გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოს 2011 წლის 9 თებერვლის განაჩენი იმ ნაწილში, რომლითაც გ. მ-ის ძე ჩ-ეს ზ. გ-ის ასული ხ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის ანაზღაურება 4 646 900 რუბლის ოდენობით;
3. ბელარუსის რესპუბლიკის ქ.გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოს შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
  - 3.1 საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად ბელარუსის რესპუბლიკის ქ.გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოს 2011 წლის 9 თებერვლის განაჩენი იმ ნაწილში, რომლითაც გ. მ-ის ძე ჩ-ეს სახელმწიფოს სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟი – 232 345 რუბლი და აგრეთვე, პროცესუალური ხარჯები – 5 340 რუბლი;
  - 3.2 საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად ბელარუსის რესპუბლიკის ქ.გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოს 2011 წლის 14 იანვრის დადგენილება, რომლის საფუძველზეც ბრალდებულ გ. მ-ის ძე ჩ-ეს დაეკისრა 88 500 რუბლის ოდენობით ადვოკატის შრომითი გასამრჯელოს გადახდა (იხ.: ბელარუსის რესპუბლიკის ქ.გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოს 2011 წლის 14 იანვრის დადგენილება და მასზე გაცემული სააღსრულებო ფურცელი).
  - 3.3 საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად ბელარუსის რესპუბლიკის ქ.გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოს 2011 წლის 9 თებერვლის დადგენილება, რომლის საფუძველზეც ბრალდებულ გ. მ-ის ძე ჩ-ეს დაეკისრა 88 500 რუბლის ოდენობით ადვოკატის შრომითი გასამრჯელოს გადახდა (იხ.: ბელარუსის რესპუბლიკის ქ.გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოს 2011 წლის 9 თებერვლის დადგენილება და მასზე გაცემული სააღსრულებო ფურცელი).
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# ზიანის ანაზღაურება

## ბანკინება

№ა-491-შ-10-2015

22 აპრილი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ბაქაქუჩი,  
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

### აღწერილობითი ნაწილი:

ბელორუსიის სატრანსპორტო დაზღვევის ბიურომ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხეების – ს. ს-სა და ა. ო-ის მიმართ და მოითხოვა 2013 წლის 27 აგვისტოს ავტოსაგზაო შემთვევის შედეგად მიყენებული მატერიალური ზიანის რეგრესის წესით ანაზღაურება.

ბელორუსიის რესპუბლიკის ქალაქ გროდნოს ოქტომბრის რაიონის სასამართლოს 2014 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილებით ს. პ-ის ძე ს-ის (საიდენტიფიკაციო ნომერი ....., პასპორტი ....., გაცემული 2010 წელს 16 აგვისტოს ბელორუსიის რესპუბლიკის ქალაქ გროდნოს ოქტომბრის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების მიერ), დაბადებული 1971 წელს 18 თებერვალს, ბელორუსიის რესპუბლიკის გროდნოს მხარის სვისლორკის რაიონის სოფელ ტ-ას მკვიდრს, ბელორუსიის რესპუბლიკის მოქალაქეს, მცხოვრებს ბელორუსიის რესპუბლიკა, ქალაქი გროდნო, კ-ის გამზირი, სახლი №..., ბინა №338 და ა. ს-ის ძე ო-ს, დაბადებულს 1976 წელს 29 აგვისტოს, საქართველოს რესპუბლიკის ქალაქ თბილისის მკვიდრს, მცხოვრებს საქართველოს რესპუბლიკა, ქალაქ თბილისში, ბ-ის ქუჩა, სახლი №11, ბელორუსიის სატრანსპორტო დაზღვევის ბიუროს სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 39 271 300 რუბლი მიყენებული მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, 1 023 100 რუბლი შემფასებლის მომსახურეობისთვის გადახდილი ხარჯების ასანაზღაურებლად. ჯამში 40 294 400 (ორმოცი მილიონ ორასოთხმოცდაათოთხმეტიათას ოთხასი) რუბლი. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონირ ძალაში შევიდა 2014 წლის 3 ოქტომბერს და ბელორუსიის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ა. ო-ისათვის თანხის

დაკისრების ნაწილში არ აღსრულებულა.

ბელორუსიის სატრანსპორტო დაზღვევის ბიუროს გენერალურმა დირექტორმა ა. ა-ომ შუამდგომლობით მომართა საკავშირის საკავშირის პალატას და მოითხოვა ბელორუსიის რესპუბლიკის ქალაქ გროდნოს ოქტომბრის რაიონის სასამართლოს 2014 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება ა. ო-ისათვის სოლიდარულად თანხის დაკისრების ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 27 თებერვლის განჩინებით ბელორუსიის სატრანსპორტო დაზღვევის ბიუროს დირექტორის – ა. ა-ოს შუამდგომლობა ბელორუსიის რესპუბლიკის ქალაქ გროდნოს ოქტომბრის რაიონის სასამართლოს 2014 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ა. ო-ისათვის სოლიდარულად თანხის დაკისრების ნაწილში მიღებულ იქნა წარმოებაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნევს, რომ ბელორუსიის სატრანსპორტო დაზღვევის ბიუროს დირექტორის – ა. ა-ოს შუამდგომლობა ბელორუსიის რესპუბლიკის ქალაქ გროდნოს ოქტომბრის რაიონის სასამართლოს 2014 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ა. ო-ისათვის სოლიდარულად თანხის დაკისრების ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ ს. პ-ის ძე ს-ის (საიდენტიფიკაციო ნომერი ..... , პასპორტი KH....., გაცემული 2010 წელს 16 აგვისტოს ბელორუსიის რესპუბლიკის ქალაქ გროდნოს ოქტომბრის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების მიერ), დაბადებული 1971 წელს 18 თებერვალს, ბელორუსიის რესპუბლიკის გროდნოს მხარის სვისლოჩკის რაიონის სოფელ ტ-ას მკვიდრს, ბელორუსიის რესპუბლიკის მოქალაქეს, მცხოვრებს ბელორუსიის რესპუბლიკა, ქალაქი გროდნო, კ-ის გამზირი, სახლი №96, ბინა №338 და ა. ს-ის ძე ო-ს, დაბადებულს 1976 წელს 29 აგვისტოს, საქართველოს რესპუბლიკის ქალაქ თბილისის მკვიდრს, მცხოვრებს საქართველოს რესპუბლიკა, ქალაქ თბილისში, ბ-ის ქუჩა, სახლი №11, ბელორუსიის სატრანსპორტო დაზღვევის ბიუროს სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 39 271 300 რუბლი მიყენებული მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, 1 023 100 რუბლი შემფასებლის მომსახურეობისთვის გადახდი-

ლი ხარჯების ასანაზღაურებლად. ჯამში 40 294 400 (ორმოცი მილიონ ორასოთხმოცდაათოთხმეტიათას ოთხასი) რუბლი. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2014 წლის 3 ოქტომბერს და ბელორუსიის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ა. ო-ისათვის თანხის დაკისრების ნაწილში არ აღსრულებულა.

ბელორუსიის სატრანსპორტო დაზვევის ბიუროს გენერალურმა დირექტორმა ა. ა-ომ შუამდგომლობით მომართა საკასაციო პალატას და მოითხოვა ბელორუსიის რესპუბლიკის ქალაქ გროდნოს ოქტომბრის რაიონის სასამართლოს 2014 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება ა. ო-ისათვის სოლიდარულად თანხის დაკისრების ნაწილში.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად, ბელორუსიის რესპუბლიკის ქალაქ გროდნოს ოქტომბრის რაიონის სასამართლოს 2014 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილება ა. ო-ისათვის სოლიდარულად თანხის დაკისრების ნაწილში ცნობილ უნდა იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ბელორუსიის სატრანსპორტო დაზვევის ბიუროს დირექტორის - ა. ა-ოს შუამდგომლობა ბელორუსიის რესპუბლიკის ქალაქ გროდნოს ოქტომბრის რაიონის სასამართლოს 2014 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ა. ო-ისათვის სოლიდარულად

ლად თანხის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად ბელორუსიის რესპუბლიკის ქალაქ გროდნოს ოქტომბრის რაიონის სასამართლოს 2014 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს მოქალაქე ა. ო-ს ბელორუსიის სატრანსპორტო დაზღვევის ბიუროს სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრა 39 271 300 რუბლი მიყენებული მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, 1 023 100 რუბლი შემფასებლის მომსახურებისთვის გადახდილი ხარჯების ასანაზღაურებლად. ჯამში 40 294 400 (ორმოცი მილიონ ორასოთხმოცდათოთხმეტიათას ოთხასი) რუბლის გადახდა.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **ზიანის ანაზღაურება**

### **განჩინება**

№ა-1639-შ-37-2015

30 ივლისი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავეიძე,  
ზ. ძლიერიშვილი**

**დავის საგანი:** დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ბელარუსის რესპუბლიკის ქ.გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოს 2011 წლის 9 სექტემბრის განაჩენით (საქმე №0048/2011):

1. რ. ა-ის ძე თ-ეს დ. ვ-ის ძე ც-ის სასარგებლოდ დანაშაულით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად დაეკისრა 28 600 000 რუბლის გადახდა;

2. რ. ა-ის ძე თ-ეს ა. ვ-ს ძე ს-ის სასარგებლოდ დანაშაულით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად დაეკისრა 27 833 000 რუბლის გადახდა;

3. რ. ა-ის ძე თ-ეს სახელმწიფოს სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 3 571 000 რუბლის და სამძებრო წარმოებასთან დაკავშირებული საპროცესო დანახარჯების – 1 050 000 რუბლის, მთლიანობაში 4 621 000 რუბლის გადახდა.

ბელარუსის რესპუბლიკის ქ.გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოს 2012 წლის 13 ივლისის დადგენილებით:

1. გაიცა სააღსრულებო ფურცელი რ. ა-ის ძე თ-ის წინააღმდეგ დ. ვ-ს ძე ც-ის სასარგებლოდ დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის 37 789 265 რუბლის ოდენობით ანაზღაურების თაობაზე;

2. წინა სააღსრულებო ფურცელი უკან იქნა გამოთხოვილი. დასახელებული განჩინება იმითაა დასაბუთებული, რომ 2011 წლის სექტემბრიდან 2012 წლის 31 ივნისამდე დროის მონაკვეთში 28 600 000 რუბლის ინფლაციამ 37 789 265 რუბლი შეადგინა.

შუამდგომლობაზე თანდართული ცნობის მიხედვით, განაჩენი ზემოაღნიშნულ ნაწილებში, ისევე როგორც, სასამართლოს ხსენებული დადგენილება, კანონიერ ძალაშია შესული. ამასთან, ფულადი თანხების დაკისრების აღსრულების მ-ნით გაიცა სააღსრულებო ფურცლები, მაგრამ აღსრულება ვერ განხორციელდა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობებით მომართეს: დ. ც-მა, ა. ს-იმ და ბელარუსის რესპუბლიკის ქ.გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლომ. ა. ს-იმ მოითხოვა თავის სასარგებლოდ მოპასუხისათვის თანხების დაკისრების ნაწილში ბელარუსის რესპუბლიკის ქ.გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოს 2011 წლის 9 სექტემბრის განაჩენის, ხოლო დ. ც-მა – 2012 წლის 13 ივლისის დადგენილების შინაარსის გათვალისწინებით ამავე განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსასრულებლად მიქცევა, მის სასარგებლოდ მოპასუხისათვის თანხის დაკისრების ნაწილში. რაც შეეხება ბელარუსის რესპუბლიკის ქ.გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოს მოთხოვნას, აღნიშნულ წარმოადგენს რ. თ-ისათვის სახელმწიფო ბაჟისა და საპროცესო დანახარჯების დაკისრების ნაწილებში განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 18 მაისის განჩინებით დ. ც-ის, ა. ს-ისა და ბელარუსის რესპუბლიკის ქ.გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოს შუამდგომლობები მიღებულ იქნა წარმოებაში.

2015 წლის 16 ივნისს საქართველოს უზენაეს სასამართლო-



ში მოსაზრება (შესაგებელი) წარმოადგინა რ. თ-ემ, სადაც აღნიშნა, რომ დღეის მდგომარეობით რ. თ-ის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა არასწორია, რამდენადაც მას ანაზღაურებული აქვს დანაშაულით მიყენებული ზიანი 28 600 000 რუბლის (ინფლაციის გათვალისწინებით 37 789 265 რუბლის) ოდენობით დ. ვ-ს ძე ც-ის, ხოლო 27 833 000 რუბლი – ა. ვ-ს ძე ს-ის სასარგებლოდ. მიუხედავად ამისა, ვინაიდან რ. თ-ეს მოცემულ ეტაპზე დეპორტი აქვს, იგი ბელორუსიაში ჩასვლას და მის მიმართ ფულადი ვალდებულების არარსებობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენას ვერ ახერხებს.

გარდა ამისა, რ. თ-ემ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, შუამდგომლობებით მოთხოვნილია ბელორუსის რესპუბლიკის ქ.გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოს განაჩენის შესაბამის ნაწილებში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება, რომელიც შეეხება ფულადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნას. ასეთ მოთხოვნაზე კი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ვრცელდება ამავე კოდექსის 129-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. აქედან გამომდინარე, შუამდგომლობების ავტორთა მოთხოვნები ხანდაზმულია და ისინი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ დ. ც-ის, ა. ს-ისა და ბელარუსის რესპუბლიკის ქ.გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოს შუამდგომლობები უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ ბელარუსის რესპუბლიკის ქ.გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოს 2011 წლის 9 სექტემბრის განაჩენით (საქმე №0048/2011):

1. რ. ა-ის ძე თ-ეს დ. ვ-ს ძე ც-ის სასარგებლოდ დანაშაულით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად დაეკისრა 28 600 000 რუბლის გადახდა;

2. რ. ა-ის ძე თ-ეს ა. ვ-ს ძე ს-ის სასარგებლოდ დანაშაულით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად დაეკისრა 27 833 000 რუბლის გადახდა;

3. რ. ა-ის ძე თ-ეს სახელმწიფოს სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 3 571 000 რუბლის და სამძებრო წარმოებასთან დაკავშირებული საპროცესო დანახარჯების – 1 050 000 რუბლის, მთლიანობაში 4 621 000 რუბლის გადახდა.

გარდა ამისა, დადგენილია, რომ ბელარუსის რესპუბლიკის

ქ.გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოს 2012 წლის 13 ივლისის დადგენილებით:

1. გაიცა სააღსრულებო ფურცელი რ. ა-ის ძე თ-ის მიერ დ. ვ-ს ძე ც-ის სასარგებლოდ დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის 37 789 265 რუბლის ოდენობით ანაზღაურების თაობაზე;

2. წინა სააღსრულებო ფურცელი უკან იქნა გამოთხოვილი.

შუამდგომლობაზე თანდართული ცნობის მიხედვით, განაჩენი ზემოაღნიშნულ ნაწილებში, ისევე როგორც, სასამართლოს ხსენებული დადგენილება, კანონიერ ძალაშია შესული. ამასთან, ფულადი თანხების დაკისრების აღსრულების მ-ნით გაიცა სააღსრულებო ფურცლები, მაგრამ აღსრულება ვერ განხორციელდა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამავდროულად, არსებობს დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევის კანონით გათვალისწინებული საფუძველი, კერძოდ, შუამდგომლობა აკმაყოფილებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.

ამდენად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიექცეს ბელარუსის რესპუბლიკის ქ.გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოს 2011 წლის 9 სექტემბრის განაჩენი (საქმე №0048/2011) იმ ნაწილებში, რომლებითაც:

1. რ. ა-ის ძე თ-ის დ. ვ-ს ძე ც-ის სასარგებლოდ დანაშაულით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად დაეკისრა 28 600 000 რუბლის გადახდა;

2. რ. ა-ის ძე თ-ის ა. ვ-ს ძე ს-ის სასარგებლოდ დანაშაულით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად დაეკისრა 27 833 000 რუბლის გადახდა;

3. რ. ა-ის ძე თ-ეს სახელმწიფოს სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 3 571 000 რუბლის და სამძებრო წარმოებასთან დაკავშირებული საპროცესო დანახარჯების – 1 050 000 რუბლის, მთლიანობაში 4 621 000 რუბლის გადახდა

და, აგრეთვე, ბელარუსის რესპუბლიკის ქ.გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოს 2012 წლის 13 ივლისის დადგენილება, რომლითაც:

1. გაიცა სააღსრულებო ფურცელი რ. ა-ის ძე თ-ის მიერ დ. ვ-ს ძე ც-ის სასარგებლოდ დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის 37 789 265 რუბლის ოდენობით ანაზღაურების თაობაზე;

2. წინა სააღსრულებო ფურცელი უკან იქნა გამოთხოვილი.

მოპასუხე რ. თ-ის წერილობით მოსაზრებაში მითითებულ გარემოებებთან მიმართებით საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ შუამდგომლობის განხილვისას საქართველოს უზენაესი სასამართლო ხელმძღვანელობს „საერთაშორისო კერძო სამართლის“ შესახებ საქართველოს კანონის დებულებების შესაბამისად, რა დროსაც ამონებს დასახელებულ კანონთან და საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებთან შუამდგომლობის ფორმალურ შესაბამისობას. ამდენად, აღნიშნულ პროცესში საქართველოს უზენაესი სასამართლოს კომპეტენცია სწორედ შუამდგომლობის ცნობითა და აღსრულებით შემოიფარგლება და საქმესთან დაკავშირებული სხვა, მათ შორის, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხები, ვერ გახდება საკასაციო სასამართლოს მოცემული განჩინების მსჯელობის საგანი.

უსაფუძვლოა რ. თ-ის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ვინაიდან საქმე შეეხება ფულადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნებს, რომლებზეც სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა ვრცელდება, შუამდგომლობები ხანდაზმულია და ისინი არ უნდა დაკმაყოფილდეს. დასმულ საკითხთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, განხილვის საგანია არა უშუალოდ ფულადი ვალდებულების შესრულების შესახებ მოთხოვნები, არამედ ამ მოთხოვნებთან მიმართებით უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება, რაც ერთმანეთისგან სრული-

ად განსხვავდება. ასეთ შემთხვევაზე ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული 10-წლიანი ხანდაზმულობის ვადა, კერძოდ, ამ ნორმის თანახმად, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა ათი წელი, მაშინაც კი, როცა ეს მოთხოვნა უფრო ნაკლებ ხანდაზმულობას ექვემდებარება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხის მოსაზრებაში მოყვანილი გარემოებები გაზიარებული ვერ იქნება და ვერ განაპირობებს დ. ც-ის, ა. ს-ისა და ბელარუსის რესპუბლიკის ქ.გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოს შუამდგომლობების დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე და 71-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

I. ა. ს-ისა და ბელარუსის რესპუბლიკის ქ.გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოს შუამდგომლობები ბელარუსის რესპუბლიკის ქ.გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოს 2011 წლის 9 სექტემბრის განაჩენის (საქმე №...) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს;

II. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად ბელარუსის რესპუბლიკის ქ.გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოს 2011 წლის 9 სექტემბრის განაჩენი (საქმე №...) იმ ნაწილებში, რომლებითაც:

1. რ. ა-ის ძე თ-ეს ა. ვ-ს ძე ს-ის სასარგებლოდ დანაშაულით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად დაეკისრა 27 833 000 რუბლის გადახდა;

2. რ. ა-ის ძე თ-ეს სახელმწიფოს სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 3 571 000 რუბლის და სამძებრო წარმოებასთან დაკავშირებული საპროცესო დანახარჯების – 1 050 000 რუბლის, მთლიანობაში 4 621 000 რუბლის გადახდა.

III. დ. ც-ის შუამდგომლობა ბელარუსის რესპუბლიკის ქ.გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოს 2011 წლის 9 სექტემბრის განაჩენის (საქმე №0048/2011, ამავე სასამართლოს 2012 წლის 13 ივლისის დადგენილების გათვალისწინებით) საქართვე-

ლოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე დაკმაყოფილდეს;

IV. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად ბელარუსის რესპუბლიკის ქ.გომელის საბჭოთა რაიონის სასამართლოს 2012 წლის 13 ივლისის დადგენილება, რომლითაც:

1. გაიცა სააღსრულებო ფურცელი რ. ა-ის ძე თ-ის წინააღმდეგ დ. ვ-ს ძე ც-ის სასარგებლოდ დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის 37 789 265 რუბლის ოდენობით ანაზღაურების თაობაზე;

2. წინა სააღსრულებო ფურცელი უკან იქნა გამოთხოვილი.

V. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **ზიანის ანაზღაურება**

### **განჩინება**

№ა-1825-შ-39-2015

10 სექტემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე  
ბ. ალავიძე**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლემ ერთპიროვნულად, ზეპირი მოსმენის გარეშე განვიხილე რუსეთის ფედერაციის კომის რესპუბლიკის სასჯელაღსრულების ფედერალური სამსახურის ფედერალური სახაზინო დაწესებულების – №31 გამოსასწორებელი კოლონიის შუამდგომლობის წარმოებაში მიღების საკითხი, რუსეთის ფედერაციის კომის რესპუბლიკის უსტ-ვიმსკის რაიონის აიკინსკის სასამართლოს 2013 წლის 15 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, რომლითაც კ. ფ-ას დაეკისრა მატერიალური ზიანის ანაზღაურება.

### **პალატამ გამოარკვია:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 მაისის განჩინებით რუსეთის ფედე-

რაციის კომის რესპუბლიკის სასჯელაღსრულების ფედერალური სამსახურის ფედერალური სახაზინო დაწესებულების – №31 გამოსასწორებელი კოლონიის შუამდგომლობას, „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ მინსკის კონვენციის 53-ე მუხლის, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე მუხლების, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა შუამდგომლობის მოთხოვნის განსაზღვრა; გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევის მოთხოვნის შემთხვევაში მხარეს ასევე დაევალა შემდეგი მტკიცებულებების წარმოდგენა: ა) გადაწყვეტილება ან მისი დამონმებული ასლის, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებასაც მოითხოვს; ბ) ცნობა სასამართლო განხილვის თაობაზე მოპასუხის სათანადოდ ინფორმირების შესახებ; გ) ცნობა, რომ გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში და ექვემდებარება საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებას.

ხარვეზის გამოსწორების ვადად სასამართლომ შუამდგომლობის ავტორს განუსაზღვრა 10 დღე და განუმარტა, რომ სასამართლოს მიერ მითითებულ ვადაში ხარვეზის სრულყოფილად გამოუსწორებლობის შემთხვევაში შუამდგომლობა აღარ მიიღებოდა და განუხილველად დარჩებოდა.

ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინება შუამდგომლობის ავტორს მის მიერ მითითებულ მისამართზე გაეგზავნა ფოსტის მეშვეობით.

საკასაციო სასამართლოში დაბრუნებული შპს „სკს-ს“ საფოსტო განყოფილების აქტის თანახმად, გზავნილი ადრესატს ჩაბარდა 2015 წლის 30 ივნისს.

შუამდგომლობის ავტორმა საპროცესო მოქმედების განხორციელების მიზნით დოკუმენტები საფოსტო განყოფილებას ჩააბარა 2015 წლის 17 ივლისს.

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები და თვლის, რომ რუსეთის ფედერაციის კომის რესპუბლიკის სასჯელაღსრულების ფედერალური სამსახურის ფედერალური სახაზინო დაწესებულების – №31 გამოსასწორებელი კოლონიის შუამდგომლობა განუხილველად უნდა იქნას დატოვებული შემდეგი გარემოებების გამო:

„სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ მინსკის კონვენციის 53-ე მუხლის 1-ლი პუნქტის

თანახმად, შუამდგომლობა გადანყვეტილების იძულებითი აღსრულების ნებართვის თაობაზე წარედგინება ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტურ სასამართლოს, სადაც გადანყვეტილება უნდა აღსრულდეს. იგი შეიძლება წარედგინოს აგრეთვე სასამართლოს, რომელმაც გადანყვეტილება საქმეზე გამოიტანა პირველ ინსტანციაში. ეს სასამართლო შუამდგომლობას უგზავნის სასამართლოს, რომელიც კომპეტენტურია გადანყვეტილება გამოიტანოს შუამდგომლობით. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლო გადანყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

ამდენად, უცხო ქვეყნის გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების საკითხის განხილვაზე კომპეტენტურ სასამართლოს წარმოადგენს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საქართველოს საერთო სასამართლოები სამოქალაქო საქმეებს განიხილავენ ამ კოდექსით დადგენილი წესების მიხედვით.

ამავე კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილია სასამართლო შეტყობინების ჩაბარების წესი და განსაზღვრულია საპროცესო სამართლის მიზნებისათვის, თუ რა განიხილება მხარის ჯეროვან შეტყობინებად, რასაც შესაძლოა, გარკვეული სამართლებრივი შედეგები მოჰქვეს. 73-ე მუხლის მე-8 ნაწილს თანახმად, ფოსტით ან კურიერის მეშვეობით ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უწყება უნდა ჩაჰბარდეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ანდა პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში – ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს.

საქმეში წარმოდგენილი საფოსტო აქტის თანახმად, ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინება ადრესატს 2015 წლის 30 ივნისს ჩაბარდა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილისა და 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუ-

თები ან ფულადი თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაჰპარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს განჩინებით დადგენილი ხარვეზის გამოსწორების 10-დღიანი ვადის დენა დაიწყო 2015 წლის 1 ივლისს და ამოიწურა ამავე წლის 10 ივლისს, პარასკევს, შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები კი, ფოსტას ჩაბარდა 2015 წლის 17 ივლისს, რითაც მხარემ დაარღვია დადგენილი საპროცესო ვადა, გარდა აღნიშნულისა, საპროცესო ვადის დარღვევას ადასტურებს თავად შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიც, რომლებიც 2015 წლის 15 ივლისითაა დათარიღებული. საგულისხმოა, რომ შუამდგომლობის ავტორს საპროცესო ვადის დარღვევის საპატიოდ მიჩნევა ან/და დარღვეული საპროცესო ვადის აღდგენა არ მოუთხოვია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

დასახელებული ნორმისა და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მხარემ დაარღვია საპროცესო ვადა, პალატა თვლის, რომ რუსეთის ფედერაციის კომის რესპუბლიკის სასჯელალსრულების ფედერალური სამსახურის ფედერალური სახაზინო დაწესებულების – №31 გამოსასწორებელი კოლონიის შუამდგომლობა განუხილველად უნდა იქნას დატოვებული.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ მინსკის კონვენციის 53-ე მუხლის 1-ლი პუნქტით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. რუსეთის ფედერაციის კომის რესპუბლიკის სასჯელალსრულების ფედერალური სამსახურის ფედერალური სახაზინო დაწესებულების – №31 გამოსასწორებელი კოლონიის შუამდგომლობა კომის რესპუბლიკის უსტ-ვიმსკის რაიონის აიკინ-



სკის სასამართლოს 2013 წლის 15 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დარჩეს განუხილველად.

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **ზიანის ანაზღაურება**

### **განჩინება**

№ა-820-შ-17-2015

5 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**ბ. ალავიძე,**  
**ზ. ძლიერიშვილი**

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. რუსეთის ფედერაციის კომის რესპუბლიკის უსტ-ვიმსკის რაიონის აიკინის სასამართლო უბნის 2013 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებით (საქმე №2-318/2013) ბ. გ-ის ძე ბ-ძეს რუსეთის ფედერაციის სასარგებლოდ მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად დაეკისრა 4160 რუბლისა და 90 კაპიკის გადახდა.

2. რუსეთის ფედერაციის კომის რესპუბლიკის სასჯელაღსრულების ფედერალური სამსახურის ფედერალური სახელმწიფო დაწესებულების №... სასჯელაღსრულების კოლონიაში მუშაობის დროს მომართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს და მოითხოვა დასახელებულ ნაწილში ზემოხსენებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსასრულებლად მიქცევა.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 7 მაისის განჩინებით რუსეთის ფედერაციის კომის რესპუბლიკის სასჯელაღსრულების ფედერალური სამსახურის ფედერალური სახელმწიფო დაწესებულების №... სასჯელაღსრულების კოლონიის შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებამი.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

4. საკასაციო სასამართლო გაცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ რუსეთის ფედერაციის კომის რესპუბლიკის სასჯელალსრულების ფედერალური სამსახურის ფედერალური სახელმწიფო დაწესებულების №... სასჯელალსრულების კოლონიის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

5. დადგენილია, რომ რუსეთის ფედერაციის კომის რესპუბლიკის უსტ-ვიმსკის რაიონის აიკინის სასამართლო უბნის 2013 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებით (საქმე №2-318/2013) ბ. გ-ის ძე ბ-ძეს რუსეთის ფედერაციის სასარგებლოდ მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად დაეკისრა 4160 რუბლისა და 90 კაპიკის გადახდა.

6. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

7. ამდენად, რუსეთის ფედერაციის კომის რესპუბლიკის უსტ-ვიმსკის რაიონის აიკინის სასამართლო უბნის 2013 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება (საქმე №2-318/2013) იმ ნაწილში, რომლითაც ბ. გ-ის ძე ბ-ძეს რუსეთის ფედერაციის სასარგებლოდ მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად დაეკისრა 4160 რუბლისა და 90 კაპიკის გადახდა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. რუსეთის ფედერაციის კომის რესპუბლიკის სასჯელალ-

სრულების ფედერალური სამსახურის ფედერალური სახელმწიფო დაწესებულების №... სასჯელაღსრულების კოლონიის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად რუსეთის ფედერაციის კომის რესპუბლიკის უსტ-ვიმსკის რაიონის აიკინის სასამართლო უბნის 2013 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება (საქმე №...) იმ ნაწილში, რომლითაც ბ. გ-ის ძე ბ-ძეს რუსეთის ფედერაციის სასარგებლოდ მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად დაეკისრა 4160 რუბლისა და 90 კაპიკის გადახდა.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **განქორწინება**

### **განჩინება**

№ა-638-შ-14-2015

22 აპრილი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ბაქაძეური,  
ბ. ალავიძე**

**დავის საგანი:** განქორწინება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ამერიკის შეერთებული შტატების პენსილვანიის შტატის, პოტერის ოლქის სამოქალაქო სასამართლოს 2007 წლის 22 მარტის განკარგულებით საქართველოს მოქალაქე გ. ყ-ი და ი. ყ-ი განქორწინდნენ. აღნიშნული განკარგულება კანონიერ ძალაში შევიდა 2007 წლის 22 მარტს და შუამდგომლობის ავტორის განმარტებით, კანონის თანახმად, აღსრულებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში.

გ. ყ-მა შუამდგომლობით მომართა საკასაციო პალატას და მოითხოვა ამერიკის შეერთებული შტატების პენსილვანიის შტატის, პოტერის ოლქის სამოქალაქო სასამართლოს 2007 წლის 22 მარტის განკარგულების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-

თა პალატის 2015 წლის 6 მარტის განჩინებით გ. ყ-ის შუამდგომლობა ამერიკის შეერთებული შტატების პენსილვანიის შტატის, პოტერის ოლქის სამოქალაქო სასამართლოს 2007 წლის 22 მარტის განკარგულების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნევს, რომ გ. ყ-ის შუამდგომლობა ამერიკის შეერთებული შტატების პენსილვანიის შტატის, პოტერის ოლქის სამოქალაქო სასამართლოს 2007 წლის 22 მარტის განკარგულების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პენსილვანიის შტატის, პოტერის ოლქის სამოქალაქო სასამართლოს 2007 წლის 22 მარტის განკარგულებით საქართველოს მოქალაქე გ. ყ-ი და ი. ყ-ი განქორწინდნენ. აღნიშნული განკარგულება კანონიერ ძალაში შევიდა 2007 წლის 22 მარტს და შუამდგომლობის ავტორის განმარტებით, კანონის თანახმად, აღსრულებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში.

გ. ყ-მა შუამდგომლობით მომართა საკასაციო პალატას და მოითხოვა ამერიკის შეერთებული შტატების პენსილვანიის შტატის, პოტერის ოლქის სამოქალაქო სასამართლოს 2007 წლის 22 მარტის განკარგულების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამატკობლებელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად, ამერიკის შეერთებული შტატების პენსილვანიის შტატის, პოტერის ოლქის სამოქალაქო სასამართლოს 2007 წლის 22 მარტის განკარგულება ცნობილ უნდა იქნას საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო

კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. გ. ყ-ის შუამდგომლობა ამერიკის შეერთებული შტატების პენსილვანიის შტატის, პოტერის ოლქის სამოქალაქო სასამართლოს 2007 წლის 22 მარტის განკარგულების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას ამერიკის შეერთებული შტატების პენსილვანიის შტატის, პოტერის ოლქის სამოქალაქო სასამართლოს 2007 წლის 22 მარტის განკარგულება, რომლითაც საქართველოს მოქალაქე გ. ყ-ი და ი. ყ-ი განქორწინდნენ.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **გ ა ნ ქ ო რ ნ ი ნ ე ბ ა**

#### **გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**

№ა-302-შ-5-2015

22 აპრილი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ბაქაქუჩი,  
ბ. ალავიძე**

**დავის საგანი:** განქორწინება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ამერიკის შეერთებული შტატების მასაჩუსეტსის პირველი ინსტანციის სასამართლოს საოჯახო სამართლებრივი დავების დეპარტამენტის 2009 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილებით გაუქმდა საქართველოს მოქალაქე დ. ლ-ისა და ჯ.ჯ. ლ-ის შორის გაფორმებული ქორწინება. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა მისი გამოტანიდან ოთხმოცდაათი დღის გასვლის შემდეგ, კერძოდ, 2009 წლის 1 ოქტომბერს და შუამ-

დგომლობის ავტორის განმარტებით, კანონის თანახმად, აღსრულებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში.

დ. ლ-ის წარმომადგენელმა გ. გ-მა შუამდგომლობით მომართა საკასაციო პალატას და მოითხოვა ამერიკის შეერთებული შტატების მასაჩუსეტსის პირველი ინსტანციის სასამართლოს საოჯახო სამართლებრივი დავების დეპარტამენტის 2009 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 13 თებერვლის განჩინებით დ. ლ-ის წარმომადგენელ გ. გ-ის შუამდგომლობა ამერიკის შეერთებული შტატების მასაჩუსეტსის პირველი ინსტანციის სასამართლოს საოჯახო სამართლებრივი დავების დეპარტამენტის 2009 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნევს, რომ დ. ლ-ის წარმომადგენელ გ. გ-ის შუამდგომლობა ამერიკის შეერთებული შტატების მასაჩუსეტსის პირველი ინსტანციის სასამართლოს საოჯახო სამართლებრივი დავების დეპარტამენტის 2009 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მასაჩუსეტსის პირველი ინსტანციის სასამართლოს საოჯახო სამართლებრივი დავების დეპარტამენტის 2009 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილებით გაუქმდა საქართველოს მოქალაქე დ. ლ-ისა და ჯ.ჯ. ლ-ის შორის გაფორმებული ქორწინება. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა მისი გამოტანიდან ოთხმოცდაათი დღის გასვლის შემდეგ, კერძოდ, 2009 წლის 1 ოქტომბერს და შუამდგომლობის ავტორის განმარტებით, კანონის თანახმად, აღსრულებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში.

დ. ლ-ის წარმომადგენელმა გ. გ-მა შუამდგომლობით მომართა საკასაციო პალატას და მოითხოვა ამერიკის შეერთებული შტატების მასაჩუსეტსის პირველი ინსტანციის სასამართლოს საოჯახო სამართლებრივი დავების დეპარტამენტის 2009 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს

კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად, ამერიკის შეერთებული შტატების მასაჩუსეტსის პირველი ინსტანციის სასამართლოს საოჯახო სამართლებრივი დავების დეპარტამენტის 2009 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება ცნობილ უნდა იქნას საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. დ. ლ-ის წარმომადგენელ გ. გ-ის შუამდგომლობა ამერიკის შეერთებული შტატების მასაჩუსეტსის პირველი ინსტანციის სასამართლოს საოჯახო სამართლებრივი დავების დეპარტამენტის 2009 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას ამერიკის შეერთებული შტატების მასაჩუსეტსის პირველი ინსტანციის სასამართლოს საოჯახო სამართლებრივი დავების დეპარტამენტის 2009 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება, რომლითაც გაუქმდა საქართველოს მოქალაქე დ. ლ-ისა და ჯ.ჯ. ლ-ის შორის გაფორმებული ქორწინება.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# განქორწინება

## განჩინება

№ა-3816-შ-105-2014

23 იანვარი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
თ. თოდრია,  
ნ. ბაქაქუჩი

დავის საგანი: განქორწინება

### აღწერილობითი ნაწილი:

ი. ო.-მა სარჩელით მიმართა თურქეთის რესპუბლიკის, ბაქერქოსის №1 საოჯახო სასამართლოს მოპასუხე, შ. ჭ-ს მიმართ, განქორწინების მოთხოვნით.

თურქეთის რესპუბლიკის, ბაქერქოსის №1 საოჯახო სასამართლოს 2013 წლის 8 ოქტომბრის განაჩენით ი. ო.-ის სარჩელი მოპასუხე, შ. ჭ-ს მიმართ განქორწინების შესახებ დაკმაყოფილდა. თურქეთის სამოქალაქო კოდექსის №166/3 მუხლის თანახმად, განქორწინდნენ მოსარჩელე ი. ო. რეგისტრირებული: შანლიურფას გუბერნია, ვირანშეჰირის ოლქი, სოფელი/უბანი ელგუნი, ტომი №., სექცია №., მამის სახელი: ჰ., დედის სახელი: ფ., დაბადებული:..წ. და მოსარჩელე საქართველოს მოქალაქე შ. ჭ-ს, რეგისტრირებული ამავე ადგილას. მხარეთა ერთობლივი შეილის – მ. ჰ-ის მეურვის უფლებამოსილება გადაეცა მოპასუხე დედას; ბავშვს დაენიშნა ალიმენტი ყოველთვიურად 300 თურქული ლირა. ამავე განაჩენით მოპასუხეს დაუდგინდა შეილთან ურთიერთობის დღეები.

შუამდგომლობაზე დართული მასალებით ირკვევა, რომ აღნიშნული განაჩენი ძალაში შევიდა 2014 წლის 8 იანვრიდან და აღსრულებულია თურქეთის ტერიტორიაზე.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი, აპოსტილით დამონებული განაჩენით დადასტურებულია, რომ საქმე განხილულია ზეპირი მოსმენით და ღია სასამართლო სხდომაზე, მხარეთა მონაწილეობით. დადასტურებულია ის გარემოებაც, რომ განაჩენი კანონიერ ძალაშია შესული 2014 წლის 8 იანვრიდან და აღსრულებულია თურქეთის ტერიტორიაზე, ხოლო საქმეში წარმოდგენილი პირადობის მოწმობის ასლის თანახმად,



შუამდგომლობის ავტორი საქართველოს მოქალაქეა.

2014 წლის 9 დეკემბერს საქართველოს უზენაეს სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას შუამდგომლობით მომართა შ. ჭ-ს წარმომადგენელმა – ლ. კ-მ, რომელმაც მოითხოვა, თურქეთის რესპუბლიკის, ბაქირქოის №1 საოჯახო სასამართლოს 2013 წლის 8 ოქტომბრის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა. 2014 წლის 30 დეკემბერს წარმოდგენილი განცხადებით შ. ჭ-ს წარმომადგენელმა – ლ. კ-მ დააზუსტა მოთხოვნა და განმარტა, რომ სურს თურქეთის რესპუბლიკის, ბაქირქოის №1 საოჯახო სასამართლოს 2013 წლის 8 ოქტომბრის განაჩენის ფაქტის დადასტრება მხოლოდ მხარეთა განქორწინების ნაწილში. შუამდგომლობის ავტორის განმარტებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრში ვერ ხერხდება შ. ჭ-სა და ი. ო-ის განქორწინების ფაქტის რეგისტრაცია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ზემოთ მითითებული განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის გარეშე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 19 დეკემბრის განჩინებით შ. ჭ-ს წარმომადგენლის – ლ. კ-ს შუამდგომლობა მხარეთა განქორწინების ნაწილში, თურქეთის რესპუბლიკის ბაქირქოის №1 საოჯახო სასამართლოს 2013 წლის 8 ოქტომბრის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის თაობაზე მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა გაცნო წარმოდგენილ შუამდგომლობასა და თანდართულ მასალებს და მივიდა დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

თურქეთის რესპუბლიკის, ბაქირქოის №1 საოჯახო სასამართლოს 2013 წლის 8 ოქტომბრის განაჩენით ი. ო-ის სარჩელი მოპასუხე, შ. ჭ-ს მიმართ, განქორწინების შესახებ დაკმაყოფილდა. თურქეთის სამოქალაქო კოდექსის №166/3 მუხლის თანახმად, განქორწინდნენ მოსარჩელე ი. ო. რეგისტრირებული: შანლიურფას გუბერნია, ვირანშეჰირის ოლქი, სოფელი/უბანი ელგუნი, ტომი №., სექცია №., მამის სახელი: ჰ., დედის სახელი: ფ., დაბადებული:..წ. და მოსარჩელე საქართველოს მოქალაქე შ. ჭ-ა, რეგისტრირებული ამავე ადგილას. შუამდგომლობაზე დართული მასალებით ირკვევა, რომ აღნიშნული განაჩენი ძალაში

შევიდა 2014 წლის 8 იანვრიდან.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი, აპოსტილით დამონმებული განაჩენით დადასტურებულია, რომ საქმე განხილულია ზეპირი მოსმენით და ღია სასამართლო სხდომაზე, მხარეთა მონაწილეობით. დადასტურებულია ის გარემოებაც, რომ განაჩენი კანონიერ ძალაშია შესული 2014 წლის 8 იანვრიდან და აღსრულებულია თურქეთის ტერიტორიაზე, ხოლო საქმეში წარმოდგენილი პირადობის მოწმობის ასლის თანახმად, შუამდგომლობის ავტორი საქართველოს მოქალაქეა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამავე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით.

სამოქალაქო საქმეთა პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ დგინდება კანონის აღნიშნული დანაწესით გათვალისწინებული დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობა. შესაბამისად, თურქეთის რესპუბლიკის, ბაქირქოის №1 საოჯახო სასამართლოს 2013 წლის 8 ოქტომბრის განაჩენი ცნობილ უნდა იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 69-ე მუხლის მიხედვით, განქორწინების საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. შ. ჭ-ს შუამდგომლობა თურქეთის რესპუბლიკის ბაქირქოის №1 საოჯახო სასამართლოს 2013 წლის 8 ოქტომბრის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას თურქეთის

რესპუბლიკის ბაქირქოის №1 საოჯახო სასამართლოს 2013 წლის 8 ოქტომბრის განაჩენი, რომლის საფუძველზე განქორწინდნენ ი. ო. რეგისტრირებული: შანლიურფას გუბერნია, ვირანშეჰირის ოლქი, სოფელი/უბანი ელგუნი, ტომი №.., სექცია №.., მამის სახელი: ჰ., დედის სახელი: ფ., დაბადებულ: .. წ. და საქართველოს მოქალაქე შ. ჭ-ა, რეგისტრირებული ამავე ადგილას;

3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **განქორწინება**

### **განჩინება**

№ა-928-შ-21-2015

27 აპრილი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**ვ. როინიშვილი,**  
**ბ. ალავეიძე**

**დავის საგანი:** ქორწინების შეწყვეტა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

გერმანიის ტუტლინგენის პირველი ინსტანციის საოჯახო საქმეების განმხილველი სასამართლოს 2015 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილებით:

1. შეწყდა მეუღლეებს (ე. ჩ-ა და პ. პ. პ-ი) შორის 20... წლის ... სექტემბერს თბილისში/საქართველოს მმაჩის ორგანოში რეგისტრირებული ქორწინება;

2. დადგინდა, რომ ქორწინების პერიოდში შემოსავლების მიუხედავად, მეუღლეთა წილების გათანაბრება არ მოხდება;

3. ასევე დადგინდა, რომ საპროცესო ხარჯებს მხარეები ერთმანეთს აკისრებენ.

ე. ჩ-ამ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემომითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა მასა და მოპასუხეს შორის ქორწინების შეწყვეტის ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 27 მარტის განჩინებით ე. ჩ-ას შუამ-

დგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ე. ჩ-ას შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ გერმანიის ტუტლინგენის პირველი ინსტანციის საოჯახო საქმეების განმხილველი სასამართლოს 2015 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილებით შეწყდა მეუღლეებს (ე. ჩ-ა და ჰ. ჰ. პ-ი) შორის 20... წლის ... სექტემბერს თბილისში/საქართველოს მმაჩის ორგანოში რეგისტრირებული ქორწინება.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, გერმანიის ტუტლინგენის პირველი ინსტანციის საოჯახო საქმეების განმხილველი სასამართლოს 2015 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც შეწყდა მეუღლეებს (ე. ჩ-ა და ჰ. ჰ. პ-ი) შორის 2010 წლის 29 სექტემბერს თბილისში/საქართველოს მმაჩის ორგანოში რეგისტრირებული ქორწინება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

## **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ე. ჩ-ას შუამდგომლობა გერმანიის ტუტლინგენის პირველი ინსტანციის საოჯახო საქმეების განმხილველი სასამარ-

თლოს 2015 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას გერმანიის ტუტლინგენის პირველი ინსტანციის საოჯახო საქმეების განმხილველი სასამართლოს 2015 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც შეწყდა მეუღლეებს (ე. ჩ-ა და კ. ჰ. პ-ი) შორის 20... წლის ... სექტემბერს თბილისში/საქართველოს მმაჩის ორგანოში რეგისტრირებული ქორწინება.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **გ ა ნ ქ ო რ წ ი ნ ე ბ ა**

### **გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**

№ა-3614-შ-98-2014

28 აპრილი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. ბაქაქუჩი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავეძე**

**დავის საგანი:** განქორწინება, ალიმენტის დაკისრება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის პრესნენსკის რაიონის სასამართლოს 2014 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ი. დ-ას მოთხოვნა ა. ბ-თან მიმართებაში განქორწინების, ალიმენტის დაკისრებისა და არასრულწლოვანი შვილების რჩენასთან დაკავშირებით. გაუქმდა ქორწინება ა. ბ-სა და ი. დ-ას შორის რეგისტრირებული 2010 წლის 25 სექტემბერს სრს ისანი-სამგორის სამსახურის მიერ, სააქტო ჩანაწერი №.... ა. ბ-ს ი. დ-ას სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის გადახდა არასრულწლოვანი შვილების – ა. ა-ს ასულ ბ-ას, დაბადებული 2011 წლის 27 მაისს და ნ. ა-ს ასულ ბ-ას, დაბადებული 2013 წლის 4 აგვისტოს, რჩენის მიზნით, ყოველთვიურად, ნებისმიერი სახის ხელფასის ან/და სხვა შემოსავლის 1/3 ნაწილის ოდენობით, 2014 წლის 20 მარტიდან ა. ა-ს ასულ ბ-ას (დაბადებული 2011 წლის 27

მაისს) სრულწლოვანებამდე, ხოლო ალიმენტის გადახდა ნებისმიერი სახის ხელფასის ან/და სხვა შემოსავლის 1/4 ნაწილის ოდენობით, ნ. ა-ს ასულ ბ-ს, დაბადებული 2013 წლის 4 აგვისტოს, სრულწლოვანების მიღწევამდე. ამავე გადაწყვეტილებით ა. ბ-ს სახელმწიფოს სასარგებლოდ დაეკისრა ბაჟის გადახდა – 100 რუბლის ოდენობით.

ი. დ-ამ საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოდგენილი შუამდგომლობით მოითხოვა რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის პრესნენსკის რაიონის სასამართლოს 2014 წლის 22 მაისის გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება განქორწინების, ალიმენტის დაკისრებისა და არასრულწლოვანი შვილების რჩენის თაობაზე.

შუამდგომლობაზე დართული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის პრესნენსკის რაიონის სასამართლოს 2014 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული და მისი აღსრულება რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ვერ განხორციელდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 4 თებერვლის განჩინებით ი. დ-ას შუამდგომლობა წარმოებაში იქნა მიღებული.

ზემოაღნიშნული განჩინების, შუამდგომლობისა და თანდართული მასალების ასლები მოპასუხე ა. ბ-ს გაეგზავნა რამდენჯერმე 2015 წლის 13 თებერვალს, 6 მარტს და 17 აპრილს და ჩაბარდა 2015 წლის 20 აპრილს.

2015 წლის 27 აპრილს ა. ბ-ის წარმომადგენელმა მ. ყ-მა საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოადგინა მოპასუხის მოსაზრება გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ ი. დ-ას შუამდგომლობის არ დაკმაყოფილების თაობაზე. ა. ბ-ს წარმოდგენილი მოსაზრებით შუამდგომლობის ზეპირი მოსმენით განხილვა არ მოუთხოვია. შესაბამისად, უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, მისი 2015 წლის 4 თებერვლის განჩინების შესაბამისად, ი. დ-ას შუამდგომლობა განიხილა ზეპირი მოსმენის გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს და მივიდა დასკვნამდე, რომ ი. დ-ას შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის პრესნენსკის რაიონის სასამართლოს 2014 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება ცნობილ იქნას და აღსასრულებლად მიექცეს საქართველოს ტერიტორიაზე შემდეგ

გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ რუსეთის ფედერაციის ქ.მოსკოვის პრესნენსკის რაიონის სასამართლოს 2014 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ი. დ-ას მოთხოვნა ა. ბ-თან მიმართებაში განქორწინების, ალიმენტის დაკისრებისა და არასრულწლოვანი შვილების რჩენასთან დაკავშირებით. გაუქმდა ქორწინება ა. ბ-სა და ი. დ-ას შორის რეგისტრირებული 2010 წლის 25 სექტემბერს სრს ისანი-სამგორის სამსახურის მიერ, სააქტო ჩანაწერი №... ა. ბ-ს ი. დ-ას სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის გადახდა არასრულწლოვანი შვილების – ა. ა-ს ასულ ბ-ას, დაბადებული 2011 წლის 27 მაისს და ნ. ა-ს ასულ ბ-ას, დაბადებული 2013 წლის 4 აგვისტოს, რჩენის მიზნით, ყოველთვიურად, ნებისმიერი სახის ხელფასის ან/და სხვა შემოსავლის 1/3 ნაწილის ოდენობით, 2014 წლის 20 მარტიდან ა. ა-ს ასულ ბ-ას (დაბადებული 2011 წლის 27 მაისს) სრულწლოვანებამდე, ხოლო ალიმენტის გადახდა ნებისმიერი სახის ხელფასის ან/და სხვა შემოსავლის 1/4 ნაწილის ოდენობით, ნ. ა-ს ასულ ბ-ას, დაბადებული 2013 წლის 4 აგვისტოს, სრულწლოვანების მიღწევამდე. ამავე გადაწყვეტილებით ა. ბ-ს სახელმწიფოს სასარგებლოდ დაეკისრა ბაჟის გადახდა – 100 რუბლის ოდენობით.

შუამდგომლობაზე დართული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ რუსეთის ფედერაციის ქ.მოსკოვის პრესნენსკის რაიონის სასამართლოს 2014 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული და მისი აღსრულება რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ვერ განხორციელდა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია 68-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები.

მოპასუხე მის მიერ წარმოდგენილ მოსაზრებაში მიუთითებს, რომ ქ. მოსკოვის პრესნენსკის რაიონის სასამართლოს მიერ იგი სათანადო წესით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე, რადგან მისმა ყოფილმა მეუღლემ ი. დ-ამ მოპასუხის მისამართად მიუთითა თავისი საცხოვრებელი ადგილი, სადაც ერთ დროს ერთად ცხოვრობდნენ და სადაც ა. ბ-ს 2013 წლის დეკემბრის შემდეგ სახლში შესვლის უფლება არ მისცეს. იგი 2013 წლის დეკემბრიდან რუსეთში აღარ ცხოვრობს, მით უმეტეს იმ მისამართზე, რაც მითითებული აქვს სასამართლოს. მისი საცხოვრებელი ადგილი არის საქართველო, ქ. თბილისი, სოფ. ნ-ი, ხ-ის ქ. №1. აღნიშნულით მას მოესპო სასამართლო სხდომაზე გამოცხადების და/ან შესაგებლის წარდგენით საკუთარი პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობა, რაც ქ. მოსკოვის პრესნენსკის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების თაობაზე შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

აღნიშნული მოსაზრებისა და საქმის მასალების შესწავლის შედეგად, საკასაციო სასამართლომ გამოარკვია, რომ საქმეში წარმოდგენილია ქ. მოსკოვის პრესნენსკის რაიონის სასამართლოს ცნობა, რომლის თანახმად, მოპასუხე ა. ბ-ი დროულად და კანონით დადგენილი ფორმით იქნა გაფრთხილებული სასამართლო განხილვის დროისა და ადგილის შესახებ აღნიშნულ ცნობას თან ახლავს გაფრთხილების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელთაგან ირკვევა, რომ სასამართლოს უწყება მოპასუხეს გაეგზავნა ორჯერ შემდეგ მისამართზე: ქ. მოსკოვი, ხ-ს ქუჩა, სახლი ..., ბინა ... მხარის კანონით დადგენილი წესით ინფორმირების შესახებ მითითებულია უშუალოდ ქ. მოსკოვის პრესნენსკის რაიონის სასამართლოს 2014 წლის 22 მაისის გადაწყვეტილების ტექსტშიც სასამართლოს გადაწყვეტილებაში და სასამართლოს მიერ გაცემულ ცნობაში მოცემული ინფორმაცია, აგრეთვე, სასამართლო უწყების გაგზავნის დამადასტურებელი დოკუმენტების არსებობა ქმნის პრეზუმციას, რომ გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მხარე უწყების ჩაბარების გზით სათანადოდ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე. ასეთ შემთხვევაში მოპასუხემ სარწმუნოდ უნდა დაადასტუროს, რომ ასეთ გაფრთხილებას ადგილი არ ჰქონია.

მოცემულ შემთხვევაში, გარდა ზეპირსიტყვიერი მითითებისა, რომ 2013 წლის დეკემბრის შემდეგ იგი რუსეთში აღარ ცხოვრობს და მისამართი, სადაც სასამართლო უწყება გაიგზავნა, წარმოადგენს ი. დ-ას საცხოვრებელ მისამართს, სადაც ა. ბ-



ს 2013 წლის დეკემბრის შემდეგ არ შეეძლო მისვლა, მოპასუხეს არანაირი მტკიცებულება არ წარმოუდგენია. მოპასუხის მითითება, რომ 2013 წლის დეკემბრიდან მისი საცხოვრებელი ადგილი არის საქართველო, ქ. თბილისი, სოფ. ნ-ი, ხ-ის ქ. №1 ენი-ნაალმდეგება მისსავე მითითებას, რომ უკვე წელიწადია რუსეთში იმყოფება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ვერ გაიზიარებს მოპასუხის მოსაზრებას, რომ მის მიმართ დარღვეულ იქნა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს არც „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლში მითითებული სხვა დამაბრკოლებელი გარემოებები.

რაც შეეხება მითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებას, პალატა ასევე მიიჩნევს, რომ არც ამ ნაწილში არსებობს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, ვინაიდან, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას, ამავე კანონის 71-ე მუხლით კი დადგენილია წინაპირობები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევა. საკასაციო პალატა საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში კანონის ზემოხსენებული დანაწესები დაცულია. ამდენად, რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის პრესნენსკის რაიონის სასამართლოს 2014 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ი. დ-ას შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და დაექვემდებაროს აღსრულებას ქ.მოსკოვის პრესნენსკის რაიონის სასამართლოს 2014 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება, რომლითაც: დაკმაყოფილდა ი. დ-ას მოთხოვნა ა. ბ-თან მიმართებაში განქორწინების, ალიმენტის დაკისრებისა და არასრულწლოვანი შვილების რჩენასთან დაკავშირებით. გაუქმდა ქორწინება ა. ბ-სა და ი. დ-ას შორის რეგისტრირებული 2010 წლის 25 სექტემბერს სრს ისანი-სამგორის სამსახურის მიერ, სააქტო ჩანაწერი №.... ა. ბ-ს ი. დ-ას სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის გადახდა არასრულწლოვანი შვილების – ა. ა-ს ასულ ბ-ას, დაბადებული 2011 წლის 27 მაისს და ნ. ა-ს ასულ ბ-ას, დაბადებული 2013 წლის 4 აგვისტოს, რჩენის მიზნით, ყოველთვიურად, ნებისმიერი სახის ხელფასის ან/და სხვა შემოსავლის 1/3 ნაწილის ოდენობით, 2014 წლის 20 მარტიდან ა. ა-ს ასულ ბ-ას (დაბადებული 2011 წლის 27 მაისს) სრულწლოვანებამდე, ხოლო ალიმენტის გადახდა ნებისმიერი სახის ხელფასის ან/და სხვა შემოსავლის 1/4 ნაწილის ოდენობით, ნ. ა-ს ასულ ბ-ას, დაბადებული 2013 წლის 4 აგვისტოს, სრულწლოვანების მიღწევამდე. ამავე გადაწყვეტილებით ა. ბ-ს სახელმწიფოს სასარგებლოდ დაეკისრა ბაჟის გადახდა – 100 რუბლის ოდენობით;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **განქორწინება**

### **განჩინება**

№ა-420-შ-7-2015

18 მაისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** განქორწინება

**აღწერილობითი ნაწილი:**

თურქეთის სეიდიშეჰირის სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის

2015 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილებით ქორწინება ლ. ქ-ასა და მ. ქ-ას შორის გაუქმდა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ლ. ქ-ამ და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 20 თებერვლის განჩინებით ლ. ქ-ას შუამდგომლობა წარმოებაში იქნა მიღებული.

ზემოაღნიშნული განჩინების, შუამდგომლობისა და თანდართული მასალების ასლები მოპასუხე მ. ქ-ას, გაეგზავნა 2015 წლის 8 აპრილს და ჩაბარდა 2015 წლის 21 აპრილს, თუმცა მას განჩინებით განსაზღვრულ ვადაში აღნიშნულ შუამდგომლობაზე აზრი არ გამოუთქვამს, ასევე, არ მოუთხოვია საქმის ზეპირი განხილვა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

პალატა გაეცნო წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო: თურქეთის სეიდიშეჰირის სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილებით ქორწინება ლ. ქ-ასა და მ. ქ-ას შორის გაუქმდა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად, თურქეთის სეიდიშეჰირის სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილება ცნობილ უნდა იქნას საქართველოს ტერიტორიაზე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 69-ე მუხლის მიხედვით, განქორწინების საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო

კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

## **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ლ. ქ-ას შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე თურქეთის სეიდიშეჰირის სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც ლ. ქ-ასა და მ. ქ-ას შორის რეგისტრირებული ქორწინება გაუქმდა;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **გ ა ნ ქ ო რ ნ ი ნ ე ბ ა**

### **გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**

№ა-445-შ-8-2015

18 მაისი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ნ. ბაქაქუჩი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**ზ. ძლიერიშვილი,**  
**ბ. ალავიძე**

**დავის საგანი:** განქორწინება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ნიურნბერგის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 24 მარტის გადაწყვეტილებით გაუქმდა მხარეებს – ლ. პ-სა და გ. ი-ს შორის, 1998 წლის 5 ნოემბერს თბილისის მმანის ბიუროს მიერ რეგისტრირებული ქორწინება, სარეგისტრაციო ნომრით .....

გ. ი-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი, აპოსტილით დამოწმებული გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ ის განხილულია ზეპირი მოსმენით და სასამართლო სხდომაზე მხა-

რეები წარმომადგენლის მეშვეობით იღებდნენ მონაწილეობას, დასტურდება ის გარემოებაც, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში 2011 წლის 3 მაისს შევიდა. შუამდგომლობის ავტორის განმარტებით ირკვევა ისიც, რომ გადაწყვეტილება მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღსრულებულია, ხოლო საქმეში წარმოდგენილი პირადობის მონაწილის ასლის თანახმად, შუამდგომლობის ავტორი საქართველოს მოქალაქეა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 18 მარტის განჩინებით გ. ი-ის შუამდგომლობა წარმოებაში იქნა მიღებული.

ზემოაღნიშნული განჩინების, შუამდგომლობისა და თანდართული მასალების ასლები მოპასუხე ლ. პ-ს, გაეგზავნა 2015 წლის 7 აპრილს და ჩაბარდა 2015 წლის 20 აპრილს, თუმცა მას განჩინებით განსაზღვრულ ვადაში აღნიშნულ შუამდგომლობაზე აზრი არ გამოუთქვამს, ასევე, არ მოუთხოვია საქმის ზეპირი განხილვა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს და მივიდა დასკვნამდე, რომ გ. ი-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ნიურნბერგის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ნიურნბერგის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 24 მარტის გადაწყვეტილებით გაუქმდა მხარეებს – ლ. პ-სა და გ. ი-ს შორის, 1998 წლის 5 ნოემბერს თბილისის მმაჩის ბიუროს მიერ რეგისტრირებული ქორწინება, სარეგისტრაციო ნომრით .....

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია აღნიშნული მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის

ნიურნბერგის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება ცნობილ უნდა იქნას საქართველოს ტერიტორიაზე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 69-ე მუხლის მიხედვით, განქორწინების საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. გ. ი-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ნიურნბერგის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც გაუქმდა მხარეებს – ლ. პ-სა და გ. ი-ს შორის, 1998 წლის 5 ნოემბერს თბილისის მმართველის ბიუროს მიერ რეგისტრირებული ქორწინება, სარეგისტრაციო ნომრით ...;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# განქორწინება

## განჩინება

№ა-1694-შ-38-2015

17 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ბაქაქუჩი,  
ბ. ალავიძე

დავის საგანი: განქორწინება

### აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის პანკოვ-ვაისენზეეს საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ნ. კ-სა და პ. კ-ს შორის .. წლის .. ოქტომბერს ბერლინის რაიკინენდორფის მმარჩის ბიუროში რეგისტრირებული ქორწინება (რეგისტრაციის ნომრით ...) შეწყდა.

ნ. კ-ის წარმომადგენელმა მ. ლ-ემ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა გერმანიის პანკოვ-ვაისენზეეს საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი აპოსტილით დამოწმებული სასამართლო გადაწყვეტილების შესწავლით ირკვევა, რომ მხარეები ინფორმირებული იყვნენ საქმის განხილვის თაობაზე (განხილულია ზეპირი მოსმენით), დასტურდება, რომ გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში 2014 წლის 30 დეკემბრიდან, ამასთან, ნ. კ-ის წარმომადგენელ მ. ლ-ის განმარტებით, იგი აღსრულებულია გერმანიის ტერიტორიაზე.

შუამდგომლობაზე დართული რწმუნებულებით დასტურდება, რომ ნ. კ-ი კვლავ საქართველოს მოქალაქეა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 18 მაისის განჩინებით ნ. კ-ის წარმომადგენელ მ. ლ-ის შუამდგომლობა გერმანიის პანკოვ-ვაისენზეეს საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

2015 წლის 8 ივნისს ნ. კ-ის წარმომადგენელმა მ. ლ-ემ წარ-

მოადგინა პ. კ-ის ნოტარიულად დამონმებული თანხმობა იმის თაობაზე, რომ გერმანიის პანკოვ-ვაისენზეეს საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნევს, რომ ნ. კ-ის წარმომადგენელ მ. ლ-ის შუამდგომლობა გერმანიის პანკოვ-ვაისენზეეს საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ გერმანიის პანკოვ-ვაისენზეეს საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ნ. კ-სა და პ. კ-ს შორის 1996 წლის 22 ოქტომბერს ბერლინის რაიკინენდორფის მმარის ბიუროში რეგისტრირებული ქორწინება (რეგისტრაციის ნომრით ...) შეწყდა. აღნიშნული განკარგულება კანონიერ ძალაში შევიდა 2014 წლის 30 დეკემბერს და შუამდგომლობის ავტორის განმარტებით, კანონის თანახმად, აღსრულებულია გერმანიაში.

ნ. კ-ის წარმომადგენელმა მ. ლ-ემ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა გერმანიის პანკოვ-ვაისენზეეს საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად, გერმანიის პანკოვ-ვაისენზეეს საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება ცნობილ უნდა იქნას საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო



კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ნ. კ-ის წარმომადგენელ მ. ლ-ის შუამდგომლობა გერმანიის პანკოვ-ვაისენზეეს საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას გერმანიის პანკოვ-ვაისენზეეს საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. კ-სა და პ. კ-ს შორის .. წლის .. ოქტომბერს ბერლინის რაიკინენდორფის მმარის ბიუროში რეგისტრირებული ქორწინება (რეგისტრაციის ნომრით ...) შეწყდა.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **გ ა ნ ქ ო რ ნ ი ნ ე ბ ა**

#### **გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**

№ა-1356-შ-34-2015

27 მაისი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ბაქაქუჩი,  
ბ. ალავიძე**

**დავის საგანი:** განქორწინება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

გერმანიის მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილებით მ. ვ. ბ-სა და ა. ქ. ვ. ბ-ს შორის 2007 წლის 2 თებერვალს მიუნხენ-პასინგის მმარის ბიუროს მიერ რეგისტრირებული ქორწინება (საქორწინო აქტების რეესტრი №...) შეწყდა.

მ. ვ. ბ-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენა-

ეს სასამართლოს და მოითხოვა გერმანიის მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი აპოსტილით დამონმებული სასამართლო გადაწყვეტილების შესწავლით ირკვევა, რომ მხარეები ინფორმირებული იყვნენ საქმის განხილვის თაობაზე (განხილულია ზეპირი მოსმენით), დასტურდება, რომ გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში 2012 წლის 30 მაისიდან, ამასთან, მ. ვ. ბ-ის განმარტებით, იგი აღსრულებულია გერმანიის ტერიტორიაზე.

შუამდგომლობაზე დართული პირადობის მოწმობით დასტურდება, რომ მ. ვ. ბ-ი კვლავ საქართველოს მოქალაქეა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 აპრილის განჩინებით მ. ვ. ბ-ის შუამდგომლობა გერმანიის მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნევს, რომ მ. ვ. ბ-ის შუამდგომლობა გერმანიის მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ გერმანიის მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილებით მ. ვ. ბ-სა და ა. ქ. ვ. ბ-ს შორის 2007 წლის 2 თებერვალს მიუნხენ-პასინგის მმაჩის ბიუროს მიერ რეგისტრირებული ქორწინება (საქორწინო აქტების რეესტრი №...) შეწყდა. აღნიშნული განკარგულება კანონიერ ძალაში შევიდა 2012 წლის 30 მაისს და შუამდგომლობის ავტორის განმარტებით, კანონის თანახმად, აღსრულებულია გერმანიაში.

მ. ვ. ბ-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა გერმანიის მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის 1-ლი ნაწი-

ლის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად, გერმანიის მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება ცნობილ უნდა იქნას საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. მ. ვ. ბ-ის შუამდგომლობა გერმანიის მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას გერმანიის მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება, რომლითაც მ. ვ. ბ-სა და ა. ქ. ვ. ბ-ს შორის 2007 წლის 2 თებერვალს მიუნხენ-პასინგის მმარის ბიუროს მიერ რეგისტრირებული ქორწინება (საქორწინო აქტების რეესტრი №...) შეწყდა.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **განქორწინება**

### **განჩინება**

№ა-1270-შ-28-2015

29 ივლისი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავეიძე**

**დავის საგანი:** განქორწინება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ფრანკფურტი მაინ-ზეს საოჯახო სასამართლოს 2012 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით გაუქმდა მხარეებს – ფ. ბ-სა და გ. ბ-ს შორის, 1977 წლის 14 დეკემბერს დორფსოვიეტ შარკინის, ლენინის რაიონი, კოკჩეტავის მხარე, მმაჩის ბიუროს მოხელის მიერ რეგისტრირებული ქორწინება, სარეგისტრაციო ნომრით ...

ფ. ბ-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი, აპოსტილით დამონმებული გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ საქმე განხილულია ზეპირი მოსმენით და გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში 2012 წლის 21 აგვისტოს შევიდა. შუამდგომლობის ავტორის განმარტებით ირკვევა ისიც, რომ გადაწყვეტილება მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღსრულებულია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 19 ივნისის განჩინებით ფ. ბ-ის შუამდგომლობა წარმოებაში იქნა მიღებული.

ზემოაღნიშნული განჩინების, შუამდგომლობისა და თანდართული მასალების ასლები მოპასუხე გ. ბ-ს გაეგზავნა 2015 წლის 14 ივლისს და ჩაბარდა 2015 წლის 15 ივლისს, თუმცა მას განჩინებით განსაზღვრულ ვადაში აღნიშნულ შუამდგომლობაზე აზრი არ გამოუთქვამს, ასევე, არ მოუთხოვია საქმის ზეპირი განხილვა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო წარმოდგენილ შუამდგომ-

ლობას და თანდართულ მასალებს და მივიდა დასკვნამდე, რომ ფ. ბ-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ფრანკფურტი მაინზეს საოჯახო სასამართლოს 2012 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ფრანკფურტი მაინზეს საოჯახო სასამართლოს 2012 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით გაუქმდა მხარეებს – ფ. ბ-სა და გ. ბ-ს შორის, 1977 წლის 14 დეკემბერს დორფსოვიეტ შარკინის, ლენინის რაიონი, კოჩნეტავის მხარე, მმაჩის ბიუროს მოხელის მიერ რეგისტრირებული ქორწინება, სარეგისტრაციო ნომრით .....

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი, აპოსტილით დამონმებული გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ საქმე განხილულია ზეპირი მოსმენით და გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში 2012 წლის 21 აგვისტოს შევიდა. შუამდგომლობის ავტორის განმარტებით ირკვევა ისიც, რომ გადაწყვეტილება მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღსრულებულია.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამავე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით.

სამოქალაქო საქმეთა პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ დგინდება კანონის აღნიშნული დანაწესით გათვალისწინებული დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობა. შესაბამისად, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ფრანკფურტი მაინზეს საოჯახო სასამართლოს 2012 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება ცნობილ უნდა იქნას საქართველოს ტერიტორიაზე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 69-ე მუხლის მიხედვით, განქორწინების საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-

თა პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლით, სა- მოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ფ. ბ-ის შუამდგომლობა საქართველოს ტერიტორიაზე გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ფრანკფურტი მაინზეს სა-ოჯახო სასამართლოს 2012 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილების ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდეს;

2. ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ფრანკფურტი მაინზეს საოჯახო სასამართლოს 2012 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება, რომ-ლითაც გაუქმდა მხარეებს – ფ. ბ-სა და გ. ბ-ს შორის, 1977 წლის 14 დეკემბერს დორფსოვიეტ შარკინის, ლენინის რაიონი, კოკ-ჩეტავის მხარე, მმარის ბიუროს მოხელის მიერ რეგისტრირებული ქორწინება, სარეგისტრაციო ნომრით .....

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ სა-ჩივრდება.

## **გ ა ნ ქ ო რ ნ ი ნ ე ბ ა**

### **გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**

№ა-2062-შ-43-2015

30 ივლისი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ნ. ბაქაძური**

**დავის საგანი:** განქორწინება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ბუდაპეშტის IV და XV რაიონული სასამართლოს 2015 წლის 30 მარტის .....9 გადაწყვეტილებით დამტკიცდა მხარეთა შე-თანხმება, რომლითაც განისაზღვრა, რომ 2003 წლის 16 თებერ-ვალს დაბადებული ა. ნ-ა იცხოვრებს მოსარჩელე ა. პ-თან, მო-

პასუხე დ. ნ-ამ აიღო ვალდებულება, 2015 წლის 1 აპრილიდან გადაიხადოს ბავშვის რჩენისათვის დაკისრებული 60 000 ფორ-ნიტი ყოველი თვის 10 რიცხვამდე, განისაზღვრა ბავშვისა და მამის ურთიერთობის საკითხი, ხოლო მეუღლეებმა განაცხადეს, რომ არ სურთ ცოლ-ქმრული ურთიერთობის შენარჩუნება, ამასთან, განქორწინებას დაეთანხმა მოპასუხე (დ. ნ-ა).

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა დ. ნ-ამ და მოითხოვა განქორწინების ნაწილში წინამდებარე გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი აპოსტილით დამონმებული გადაწყვეტილების შესწავლით ირკვევა, რომ საქმე განხილულია ზეპირი მოსმენით და განხილვაში მონაწილეობდნენ მხარეები. მათ უარი განაცხადეს გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე, როს გამოც იგი 2015 წლის 30 მარტიდან ძალაშია შესული. დ. ნ-ას განმარტებით, განქორწინების ნაწილში გადაწყვეტილება აღსრულებულია ბუდაპეშტის ტერიტორიაზე, ხოლო შუამდგომლობაზე დართული პირადობის მონმობით დგინდება რომ შუამდგომლობის ავტორი არის საქართველოს მოქალაქე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 12 ივნისის განჩინებით დ. ნ-ას შუამდგომლობა მიღებულ იქნა განსახილველად.

საკასაციო სასამართლოს 12.06.2015წ. განჩინება, ასევე საქმის მასალები, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, ჩაბარდა მოწინააღმდეგე მხარეს ა. პ-ს, ხოლო შუამდგომლობის ავტორმა წარმოადგინა ა.პ-ისი სანოტარო წესით დამონმებული თანხმობა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ განქორწინების ნაწილში დ. ნ-ას შუამდგომლობა ბუდაპეშტის IV და XV რაიონული სასამართლოს 2015 წლის 30 მარტის ..... გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ბუდაპეშტის IV და XV რაიონული სასამართლოს 2015 წლის 30 მარტის ..... გადაწყვეტილებით დამტკიცდა მხარეთა შეთანხმება, რომლითაც განისაზღვრა, რომ 2003 წლის 16 თებერვალს დაბადებული ა. ნ-ა იცხოვრებს მოსარჩელე ა. პ-თან, მოპასუხე

დ. ნ-ამ აიღო ვალდებულება, 2015 წლის 1 აპრილიდან გადაიხადოს ბავშვის რჩენისათვის დაკისრებული 60 000 ფორნიტი ყოველი თვის 10 რიცხვამდე, განისაზღვრა ბავშვისა და მამის ურთიერთობის საკითხი, ხოლო მეუღლეებმა განაცხადეს, რომ არ სურთ ცოლ-ქმრული ურთიერთობის შენარჩუნება, ამასთან, განქორწინებას დაეთანხმა მოპასუხე (დ. ნ-ა).

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მართა დ. ნ-ამ და მოითხოვა განქორწინების ნაწილში წინამდებარე გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი აპოსტილით დამონმებული გადაწყვეტილების შესწავლით ირკვევა, რომ საქმე განხილულია ზეპირი მოსმენით და განხილვაში მონაწილეობდნენ მხარეები. მათ უარი განაცხადეს გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე, როს გამოც იგი 2015 წლის 30 მარტიდან ძალაშია შესული. დ. ნ-ას განმარტებით, განქორწინების ნაწილში გადაწყვეტილება აღსრულებულია ბუდაპეშტის ტერიტორიაზე, ხოლო შუამდგომლობაზე დართული პირადობის მონმობით დგინდება რომ შუამდგომლობის ავტორი არის საქართველოს მოქალაქე.

საქმეში წარმოდგენილი სანოტარო წესით დამონმებული განცხადებით დასტურდება ასევე მონინააღმდეგე მხარის ჯეოროვანი ინფორმირების ფაქტი.

საკასაციო პალატა მიუთითებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის 1-ლ პუნქტზე, რომლის თანახმადაც, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს. ამავე მუხლის მე-5 პუნქტით კი დადგენილია, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო, ხოლო ნორმის მე-2 პუნქტით კანონმდებელმა განსაზღვრა ის წინაპირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შუამდგომლობაში მითითებული გადაწყვეტილება მისი საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის მიზნით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარეს უარი ეთქმევა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

ამდენად, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა არ ხდება, თუ: ა) საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ) გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები; გ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმა-



ვე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ) უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპეტენტურად არ ითვლება; ე) უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს; ვ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ) გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით ასევე დადგენილია გარკვეული შეზღუდვები, თუმცა საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად, განქორწინების ნაწილში ბუდაპეშტის IV და XV რაიონული სასამართლოს 2015 წლის 30 მარტის ..... გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. დ. ნ-ას შუამდგომლობა განქორწინების ნაწილში ბუდაპეშტის IV და XV რაიონული სასამართლოს 2015 წლის 30 მარტის ..... გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე ბუდაპეშტის IV და XV რაიონული სასამართლოს 2015 წლის 30 მარტის ... გადაწყვეტილება მეუღლეების: დ. ნ-ასა და ა. პ-ის განქორწინების ნაწილში.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## განქორწინება

### განჩინება

№ა-2246-შ-49-2015

6 აგვისტო 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ბაქაქური,  
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: განქორწინება

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. ა-ა ზ-მა განცხადებით მიმართა გერმანიის პინენბერგის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა რ-ზ თ-თან ქორწინების შეწყვეტა.

2. გერმანიის ქ. პინენბერგის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით გაუქმდა ლოგუმკლოს-ტერის (დანის სამეფო) მმაჩის ბიუროს მიერ 2006 წლის 26 ოქტომბერს გაფორმებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის №6373/2006) ა-ა ზ-სა და რ-ზ თ-ეს შორის.

3. აღნიშნული გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

4. 2015 წლის 17 ივნისს საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა რა-ზ თ-ის წარმომადგენელმა – ა. ბ-მ და მოითხოვა გერმანიის ქ. პინენბერგის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივნისის განჩინებით რ. თურმანიძის შუამდგომლობა გერმანიის ქ. პინენბერგის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახება წარმოებაში იქნა მიღებული განსახილველად.

#### სამოტივაციო ნაწილი:

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა გაეცნო წარმოდგენილ შუამდგომლობასა და თანდართულ მასალებს და მიიჩნევს, რომ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

გერმანიის ქ. პინენბერგის რაიონული სასამართლოს 2014

წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით გაუქმდა ლოგუმკლოსტერის (დანის სამეფო) მმარის ბიუროს მიერ 2006 წლის 26 ოქტომბერს გაფორმებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის №6373/2006) ა-ა ზ-სა და რ-ზ თ-ეს შორის.

7. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამავე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით.

8. სამოქალაქო საქმეთა პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ დგინდება კანონის აღნიშნული დანაწესით გათვალისწინებული დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობა. შესაბამისად, გერმანიის ქ. პინენბერგის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება ცნობილ უნდა იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე.

9. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 69-ე მუხლის მიხედვით, განქორწინების საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

10. რ-ზ თ-ის შუამდგომლობა გერმანიის ქ. პინენბერგის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილების ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდეს;

11. ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე გერმანიის ქ. პინენბერგის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება, რომლითაც გაუქმდა ლოგუმკლოსტერის (დანის სამეფო) მმარის ბიუროს მიერ 2006 წლის 26 ოქტომბერს გაფორმებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის №6373/2006) ა-ა ზ-სა და რ-ზ თ-ეს შორის.

12. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## განქორწინება

### განჩინება

№ა-2545-შ-53-2015

10 სექტემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),  
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე

დავის საგანი: განქორწინება

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. გერმანიის მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2013 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილებით საოჯახო საქმეზე № Az: 567F 6835/13, შეწყდა მიუნხენის მმჩის დაწესებულებაში, 2009 წლის 9 აპრილს რეგისტრირებული ქორწინება ლ. ნ-სა და ა. ზ-ს შორის (ქორწინების რეესტრი №602/2009). ამავე გადაწყვეტილებით, მხარეებს შორის ურთიერთმიმართ უზრუნველყოფის კომპენსაცია არ შემდგარა, მათვე საპროცესო ხარჯები დაეკისრათ ერთმანეთის სასარგებლოდ.

2. ლ. ნ-მა 2015 წლის 3 ივლისს შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ამ განჩინების მე-2 პუნქტში დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

3. შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი აპოსტილით დამონებული გადაწყვეტილებისა და თანდართული დოკუმენტებით დასტურდება, რომ ამ განჩინების პირველ პუნქტში მითითებული გადაწყვეტილების მიღებისას, მხარეებს სასამართლოში წარმოადგენდნენ ადვოკატები, ასევე, გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2013 წლის 11 სექტემბერს.

4. შუამდგომლობის ავტორის განმარტებით, ამ განჩინების პირველ პუნქტში მითითებული გადაწყვეტილება აღსრულებულია გერმანიაში.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2015 წლის 13 ივლისის განჩინებით ლ. ნ-ის შუამდგომლობა გერმანიის მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2013 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილების (საოჯახო საქმე № Az: 567F 6835/13) საქართველოს ტერიტორიაზე

ცნობის შესახებ განსახილველად მიიღო.

6. ამ განჩინების მე-5 პუნქტში მითითებული შუამდგომლობა თანდართული მასალებით 2015 წლის 16 ივლისს გაეგზავნა მონინალმდეგე მხარეს – ა. ზ-ს, რომელსაც გზავნილი ჩაბარდა ამავე წლის 27 ივლისს (იხ. შესაბამისი აქტი საქმის მასალებში).

### **სამოტივაციო ნაწილი:**

7. საკასაციო სასამართლო გაეცნო წარმოდგენილ შუამდგომლობას, თანდართულ მასალებს და მიაჩნია, რომ ლ. ნ-ის შუამდგომლობა გერმანიის მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2013 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილების (№ Az: 567F 6835/13) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

8. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება, რომ მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოში მხარეებს წარმოადგენდნენ ადვოკატები; მხარეებს არ გაუსაჩივრებიათ 2013 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილება და იგი გადაწყვეტილების მიღების დღესვე შევიდა კანონიერ ძალაში (იხ. ამ განჩინების მე-3 პუნქტი).

9. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის 1-ლი და მე-5 პუნქტების შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, ხოლო უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

10. ამ განჩინების მე-9 პუნქტში მითითებული ნორმის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით, კანონმდებელმა განსაზღვრა ის წინაპირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაში, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ასეთი დამაბრკოლებელი გარემოებები საქმის მასალების მიხედვით არ არის წარმოდგენილი და არც შუამდგომლობაში მითითებულ მონინალმდეგე მხარეს – ა. ზ-ს წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება ან მოსაზრება უზენაესი სასამართლოს მიერ გაგზავნილი განჩინებისა და თანდართული მასალების მიღების შემდეგ (იხ. ამ განჩინების მე-6 პუნქტი).

11. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ლ. ნ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.
2. ცნობილი იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე გერმანიის მიუხეხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2013 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილება (Az: 567F 6835/13), რომლის საფუძველზეც შეწყდა ლ. ნ-სა და ა. ზ-ს შორის რეგისტრირებული ქორწინება.
3. განჩინების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.
4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **გ ა ნ ძ ო რ ნ ი ნ ე ბ ა**

#### **გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა**

№ა-2511-შ-51-2015

18 სექტემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**მოსამართლე: მ. თოდუა**

**განხილვის საგანი:** იერუსალიმის ოჯახურ საქმეთა სასამართლოს 2012 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

იერუსალიმის ოჯახურ საქმეთა სასამართლოს 2012 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილებით შეწყვეტილ იქნა ქორწინება გ-ლ ნ-სა და დ-ა ნ-ას შორის.

2015 წლის 2 ივლისს საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა დ-ა ნ-ამ და მოითხოვა იერუსალიმის ოჯახურ საქმეთა სასამართლოს 2012 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 9 ივლისის განჩინებით დ-ა ნ-ს დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში წარმოედგინა აპოსტილით დამონმებული და ქართულ ენაზე თარგმნილი ცნობა იერუსალიმის ოჯახურ საქმეთა სასამართლოს 2012 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის თაობაზე. აღნიშნულის შესახებ დ. ნ-ას სატელეფონო შეტყობინებით ეცნობა 2015 წლის 9 ივლისს.

დ-ა ნ-ას განცხადების საფუძველზე, უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 ივლისის განჩინებით ხარვეზის შევსების საპროცესო ვადა გაურძღვდა 30 დღით. აღნიშნულის თაობაზე, დ. ნ-ას სატელეფონო შეტყობინებით ეცნობა 2015 წლის 29 ივლისს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხარვეზის შევსების საპროცესო ვადა დაიწყო 2015 წლის 10 ივლისს და დასრულდა 2015 წლის 31 აგვისტოს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შუამდგომლობა განუხილველად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი, საქართველოს საერთო სასამართლოები სამოქალაქო საქმეებს განიხილავენ ამ კოდექსით დადგენილი წესების მიხედვით.

კანონის ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მის წარმოებაში არსებულ სამოქალაქო საქმეებს განიხილავს სწორედ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული წესების შესაბამისად.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში სსსკ) 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამოწვევებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს. ამავე კოდექსის 372-ე მუხლი ადგენს, რომ საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებე-

ბით.

ამდენად, საკასაციო სასამართლო საქმის განხილვის ამა თუ იმ ეტაპზე უფლებამოსილია იხელმძღვანელოს ქვემდგომი ინსტანციის წესით საქმის განხილვის მარეგულირებელი ყველა იმ ნორმით, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან ზემდგომი წესით საქმის განხილვის მარეგულირებელ წესებს.

სსსკ-ის 60-61-ე მუხლების შესაბამისად, ხარვეზის შესაყვებად დადგენილი საპროცესო ვადის ათვლა მოცემულ შემთხვევაში დაიწყო 2015 წლის 10 ივლისს და დასრულდა 2015 წლის 31 აგვისტოს. აღნიშნულ ვადაში შუამდგომლობის ავტორს ხარვეზი არ შეუესია და, არც რაიმე შუამდგომლობით მოუმართავს სასამართლოსათვის.

სსსკ-ის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე.

სსსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, ხოლო სსსკ-ის 63-ე მუხლის მიხედვით, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

ამდენად, არსებულ ფაქტობრივ ვითარებაში, კერძოდ, იმის გამო, რომ დ-ა ნ-ამ ხარვეზი სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში არ შეავსო, არსებობს მისი შუამდგომლობის განუხილველად დატოვების სამართლებრივი საფუძველი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტით, 399-ე, 372-ე მუხლებით, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. დ-ა ნ-ას შუამდგომლობა იერუსალიმის ოჯახურ საქმეთა სასამართლოს 2012 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა შესახებ დარჩეს განუხილველად.
2. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



# განქორწინება

## განჩინება

№ა-2661-შ-56-2015

24 სექტემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),

ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი)

პ. ქათამაძე

დავის საგანი: განქორწინება

### აღწერილობითი ნაწილი:

1. გერმანიის ფრაიბურგის ბრაისგაუშის ქვედა ინსტანციის სასამართლოს 2015 წლის 3 მარტის 39F№195/15 გადაწყვეტილებით 2015 წლის 15 თებერვალს ფრაიბურგის მმარის ბიუროს თანამშრომლის წინაშე შეწყდა ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის №50/2014). ნ. ს-ს (ქალიშვილობის გვარი ფ-ი) და ვ. ჰ. ს. ა-ს შორის ამავე გადაწყვეტილებით, მხარეებს შორის წილების გათანაბრება არ მომხდარა, მათ შორის თანაბრად გადანაწილდა საპროცესო ხარჯები.

2. ნ. ფ-მა 2015 წლის 13 ივლისს შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ამ განჩინების პირველ პუნქტში დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

3. შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი აპოსტილით დამონმებული გადაწყვეტილებისა და თანდართული დოკუმენტებით დასტურდება, რომ ამ განჩინების პირველ პუნქტში მითითებული გადაწყვეტილების მიღებისას, მხარეებს სასამართლოში წარმოადგენდნენ ადვოკატები, ასევე, გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2015 წლის 3 მარტიდან.

4. შუამდგომლობის ავტორის განმარტებით, ამ განჩინების პირველ პუნქტში მითითებული გადაწყვეტილება აღსრულებულია გერმანიაში კანონის შესაბამისად.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2015 წლის 23 ივლისის განჩინებით ნ. ფ-ის შუამდგომლობა გერმანიის ფრაიბურგის ბრაისგაუშის ქვედა ინსტანციის სასამართლოს 2015 წლის 3 მარტის 39F 195/15 გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ განსა-

ხილველად მიიღო.

6. ამ განჩინების მე-2 პუნქტში მითითებული შუამდგომლობა თანდართული მასალებით 2015 წლის 4 სექტემბერს განმეორებით გაეგზავნა მოწინააღმდეგე მხარეს – ვ. ჰ. ს. ა-ს, რომელსაც გზავნილი ჩაბარდა ამავე წლის 9 სექტემბერს (იხ. შესაბამისი აქტი საქმის მასალებში).

### **სამოტივაციო ნაწილი:**

7. საკასაციო სასამართლო გაეცნო წარმოდგენილ შუამდგომლობას, თანდართულ მასალებს და მიაჩნია, რომ ნ. ფ-ის შუამდგომლობა გერმანიის ფრაიბურგის ბრაისგაუშის ქვედა ინსტანციის სასამართლოს 2015 წლის 3 მარტის 39F 195/15 გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

8. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება, რომ ფრაიბურგის ბრაისგაუშის ქვედა ინსტანციის სასამართლოში მხარეებს წარმოადგენდნენ ადვოკატები; გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში 2015 წლის 3 მარტს (იხ. ამ განჩინების მე-3 პუნქტი).

9. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის 1-ლი და მე-5 პუნქტების შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, ხოლო უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

10. ამ განჩინების მე-9 პუნქტში მითითებული ნორმის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით, კანონმდებელმა განსაზღვრა ის წინაპირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაში, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ასეთი დამაბრკოლებელი გარემოებები საქმის მასალების მიხედვით არ არის წარმოდგენილი და არც შუამდგომლობაში მითითებულ მოწინააღმდეგე მხარეს – ვ. ჰ. ს. ა-ს წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება ან მოსაზრება უზენაესი სასამართლოს მიერ გაგზავნილი განჩინებისა და თანდართული მასალების მიღების შემდეგ (იხ. ამ განჩინების მე-6 პუნქტი).

11. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ნ. ფ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.
2. ცნობილი იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე გერმანიის ფრაიბურგის ბრაისგაუშის ქვედა ინსტანციის სასამართლოს 2015 წლის 3 მარტის 39F 195/15 გადაწყვეტილება, რომლითაც შეწყდა ნ. ფ-სა და ვ. ჰ. ს. ა-ს შორის რეგისტრირებული ქორწინება.
3. განჩინების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.
4. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **ბ ა ნ ძ ო რ ნ ი ნ ე ბ ა**

#### **ბ ა ნ რ ი ნ ე ბ ა**

№ა-2134-შ-45-2015

5 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
ზ. ძლიერიშვილი

**დავის საგანი:** ქორწინების შეწყვეტა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. თურქეთის რესპუბლიკის ბაქირქოის რაიონის მე-6 ოჯახური სასამართლოს 2014 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებით:

2. თურქეთის სამოქალაქო კოდექსის 166/3 მუხლით განქორწინდნენ მხარეები: 1981 წლის 16 მარტს საქართველოში, თბილისში დაბადებული, საქართველოს მოქალაქე – მოსარჩელე ფ. მ-ის ასული ა., დედის სახელი ზ., ქალაქი ა., ი-ის რაიონი, ს-ის

უბანი, ტომი 42, ოჯახის რეგისტრაციის ნომერი ..., საჯარო რეესტრში №... რეგისტრირებული და თურქეთის მოქალაქე – მოპასუხე მ. ჯ-ს ძე ა., პირადი ნომრით ..., .././1971 წელს ქალაქ ა-ში დაბადებული, დედის სახელი ჰ.

3. ფ. ა-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემომითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა დასახელებულ ნაწილში.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 12 ივნისის განჩინებით ფ. ა-ის შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

5. საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ფ. ა-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

6. დადგენილია, რომ თურქეთის რესპუბლიკის ბაქირქოის რაიონის მე-6 ოჯახური სასამართლოს 2014 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებით თურქეთის სამოქალაქო კოდექსის 166/3 მუხლით განქორწინდენ მხარეები: 1981 წლის 16 მარტს საქართველოში, თბილისში დაბადებული, საქართველოს მოქალაქე – მოსარჩელე ფ. მ-ის ასული ა., დედის სახელი ზ., ქალაქი ა., ი-ის რაიონი, ს-ის უბანი, ტომი ..., ოჯახის რეგისტრაციის ნომერი ..., საჯარო რეესტრში №... რეგისტრირებული და თურქეთის მოქალაქე – მოპასუხე მ. ჯ-ის ძე ა., პირადი ნომრით ..., .././1971 წელს ქალაქ ა-ი დაბადებული, დედის სახელი ჰ-ე.

7. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

8. ამდენად, თურქეთის რესპუბლიკის ბაქირქოის რაიონის მე-6 ოჯახური სასამართლოს 2014 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს

ტერიტორიაზე.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

**და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ფ. ა-ის შუამდგომლობა თურქეთის რესპუბლიკის ბაქირქოის რაიონის მე-6 ოჯახური სასამართლოს 2014 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას თურქეთის რესპუბლიკის ბაქირქოის რაიონის მე-6 ოჯახური სასამართლოს 2014 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომლითაც თურქეთის სამოქალაქო კოდექსის 166/3 მუხლით განქორწინდნენ მხარეები: 1981 წლის 16 მარტს საქართველოში, თბილისში დაბადებული, საქართველოს მოქალაქე – მოსარჩელე ფ. მ-ის ასული ა., დედის სახელი ზ., ქალაქი ა., ი-ის რაიონი, ს-ის უბანი, ტომი ..., ოჯახის რეგისტრაციის ნომერი ..., საჯარო რეესტრში №... რეგისტრირებული და თურქეთის მოქალაქე – მოპასუხე მ. ჯ-ის ძე ა., პირადი ნომრით ..., .../.../1971 წელს ქალაქ ა-ში დაბადებული, დედის სახელი ჰ-ე.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# განქორწინება

## განჩინება

№ა-4430-შ-91-2015

8 იანვარი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),

ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),

პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** განქორწინება

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. 2012 წლის 18 ივლისს დაქორწინდნენ თ. ი-შ (შემდეგში შუამდგომლობის ავტორი) და თ. ი-შ (შემდეგში მონინალმდებე მხარე). ქორწინების განმავლობაში, წყვილს შვილები არ შესძენია, თანაცხოვრებისას წარმოშობილი შეუთავსებლობა გახდა მონინალმდებე მხარის მიერ სარჩელის აღძვრის საფუძველი, შუამდგომლობის ავტორთან, განქორწინების მოთხოვნით.

2. თურქეთის საოჯახო სასამართლოში განქორწინების საქმის განხილვისას ორივე მხარე მონანილეობდა და შუამდგომლობის ავტორი დაეთანხმა მონინალმდებეის მოთხოვნას განქორწინებაზე.

3. თურქეთის რესპუბლიკის, ანტალიის მე-4 საოჯახო სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის №2013/338 გადაწყვეტილებით თ. ი-შ და თ. ი-შ განქორწინდნენ, მხარეებმა დაადასტურეს, რომ ერთმანეთის მიმართ არ ჰქონდათ აღიშენისა და კომპენსაციის მოთხოვნა.

4. მხარეებმა უარი თქვეს მე-3 პუნქტში მითითებული განწყვეტილების გასაჩივრებაზე და იგი კანონიერ ძალაში შევიდა 2013 წლის 17 აპრილს.

5. შუამდგომლობის ავტორმა 2015 წლის 19 ნოემბერს მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ამ განჩინების მე-3 პუნქტში დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა, ამასთან აღნიშნა, რომ განწყვეტილება აღსრულებულია თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

6. უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2015 წლის 30 ნოემბრის განჩინებით განსახილველად მიიღო შუ-

ამდგომლობა.

7. წინამდებარე განჩინების მე-5 პუნქტში მითითებული შუამდგომლობა, თანდართული მასალებით, 2015 წლის 1 დეკემბერს გაეგზავნა მოწინააღმდეგე მხარეს, რომელსაც გზავნილი ჩაჰბარდა იმავე წლის 7 დეკემბერს (იხ. შესაბამისი აქტი საქმის მასალებში).

### **სამოტივაციო ნაწილი:**

8. საკასაციო სასამართლო გაეცნო წარმოდგენილ შუამდგომლობას, თანდართულ მასალებს და მიაჩნია, რომ თ. ი-ის შუამდგომლობა თურქეთის რესპუბლიკის, ანტალიის მე-4 საოჯახო სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის №2013/338 გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

9. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება, რომ მხარეები პირადად ესწრებოდნენ თურქეთის საოჯახო სასამართლოში განქორწინების საქმის განხილვას, წყვილს ქორწინების განმავლობაში საერთო შვილები არ შესძენია, მხარეებს ერთმანეთის მიმართ რაიმე ქონებრივი ვალდებულებები არ აქვთ შესასრულებელი, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში და იგი აღსრულებულია თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე (იხ. ამ განჩინების 2-5 პუნქტები).

10. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის 1-ლი და მე-5 პუნქტების შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, ხოლო უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

11. ამ განჩინების მე-10 პუნქტში მითითებული ნორმის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით, კანონმდებელმა განსაზღვრა ის წინაპირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაში, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ასეთი დამაბრკოლებელი გარემოებები, საქმის მასალების მიხედვით, არ არის წარმოდგენილი და არც შუამდგომლობაში მითითებულ მოწინააღმდეგე მხარეს – თ. ი-ს წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება ან მოსაზრება უზენაესი სასამართლოს მიერ გაგზავნილი განჩინებისა და თანდართული მასალების მიღების შემდეგ (იხ. ამ განჩინების მე-7 პუნქტი).

12. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართვე-

ლოს კანონის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. თ. ი-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს თურქეთის რესპუბლიკის, ანტალიის მე-4 საოჯახო სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის №2013/338 გადაწყვეტილება, რომლითაც თ. ი-მ და თ. ი-მ განქორწინდნენ;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **გ ა ნ ქ ო რ ნ ი ნ ე ბ ა**

#### **გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**

№ა-3559-შ-97-2014

23 იანვარი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
თ. თოდრია,  
ნ. ბაქაქუჩი**

**დავის საგანი:** განქორწინება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ლ. ზ-მ სარჩელით მიმართა გერმანიის შიონებერგის ადგილობრივ სასამართლოს მოპასუხე, მ. ბ-ის მიმართ, განქორწინების მოთხოვნით.

გერმანიის შიონებერგის ადგილობრივი სასამართლოს 2013 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილებით ლ. ზ-ის სარჩელი მოპასუ-



ხე, მ. ბ-ის მიმართ განქორწინების შესახებ დაკმაყოფილდა. 2007 წლის 22 ნოემბერს, რინგკოპინგ/დანია, მმაჩის ბიუროს მიერ დაქორწინებული მეუღლეები (ქორწინების რეგისტრაციის ნომერი: 293/2007) განქორწინდნენ.

შუამდგომლობის ავტორის მითითებით აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდა და აღსრულებულია გერმანიის ტერიტორიაზე.

2014 წლის 11 ნოემბერს საქართველოს უზენაეს სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას შუამდგომლობით მომართა ლ. ზ-ის წარმომადგენელმა – მ. ნ-მა, რომელმაც მოითხოვა, გერმანიის შიონებერგის ადგილობრივი სასამართლოს 2013 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და განმარტა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრში ვერ ხერხდება ლ. ზ-ისა და მ. ბ-ის განქორწინების ფაქტის რეგისტრაცია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ზემოთ მითითებული განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის გარეშე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 17 ნოემბრის განჩინებით ლ. ზ-ის წარმომადგენლის – მ. ნ-ის შუამდგომლობა გერმანიის შიონებერგის ადგილობრივი სასამართლოს 2013 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის თაობაზე მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა გაეცნო წარმოდგენილ შუამდგომლობასა და თანდართულ მასალებს და მივიდა დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გერმანიის შიონებერგის ადგილობრივი სასამართლოს 2013 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილებით ლ. ზ-ის სარჩელი მოპასუხე, მ. ბ-ის მიმართ განქორწინების შესახებ დაკმაყოფილდა. 2007 წლის 22 ნოემბერს, რინგკოპინგ/დანია, მმაჩის ბიუროს მიერ დაქორწინებული მეუღლეები (ქორწინების რეგისტრაციის ნომერი: 293/2007) განქორწინდნენ.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონი-

ერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამავე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით.

სამოქალაქო საქმეთა პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ დგინდება კანონის აღნიშნული დანაწესით გათვალისწინებული დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობა. შესაბამისად, გერმანიის შიონებერგის ადგილობრივი სასამართლოს 2013 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება ცნობილ უნდა იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 69-ე მუხლის მიხედვით, განქორწინების საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ლ. ზ-ის შუამდგომლობა საქართველოს ტერიტორიაზე გერმანიის შიონებერგის ადგილობრივი სასამართლოს 2013 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილების ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდეს;
2. ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე გერმანიის შიონებერგის ადგილობრივი სასამართლოს 2013 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზე 2007 წლის 22 ნოემბერს, რინგკოპინგ/დანია, მმაჩის ბიუროს მიერ დაქორწინებული მეუღლეები (ქორწინების რეგისტრაციის ნომერი: ...) განქორწინდნენ;
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# განქორწინება

## განჩინება

№ა-1363-შ-42-2014

26 იანვარი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** განქორწინება

### აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის რეკლინგჰაუზენის პირველი ინსტანციის სასამართლოს საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2013 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებით შეწყდა ა. ბ-სა და ო. ბ-ს შორის რეგისტრირებული ქორწინება.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა ა. ბ-ის წარმომადგენელმა ზ. შ-ემ და მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ ის კანონიერ ძალაში შევიდა 2013 წლის 19 დეკემბრიდან და მხარეები ესწრებოდნენ საქმის განხილვას.

### სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო რა წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გერმანიის რეკლინგჰაუზენის პირველი ინსტანციის სასამართლოს საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2013 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებით შეწყდა ა. ბ-სა და ო. ბ-ს შორის რეგისტრირებული ქორწინება.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონი-

ერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად, გერმანიის რეკლინგჰაუზენის პირველი ინსტანციის სასამართლოს საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2013 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება ცნობილ უნდა იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 69-ე მუხლის მიხედვით, განქორწინების საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ა. ბ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე გერმანიის რეკლინგჰაუზენის პირველი ინსტანციის სასამართლოს საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2013 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც შეწყდა ა. ბ-სა და ო. ბ-ს შორის რეგისტრირებული ქორწინება.
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# მამობის ღაღვენა

## ბანჩინება

№ა-2345-შ-68-2014

12 იანვარი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** მამობის დადგენა

### აღწერილობითი ნაწილი:

საბერძნეთის ქალაქ სალონიკის პირველი ინსტანციის ერ-  
თნევრიანი სასამართლოს 2013 წლის 15 ნოემბრის გადაწყვე-  
ტილებით აღიარებულია, რომ პირველი მოსარჩელის, ნ. კ-ძ-უს  
არასრულწლოვანი შვილი, ..... ნელს საქართველოში, თბილისში  
დაბადებული ა. ძ-უ, არ არის მეორე მოსარჩელის, გ. გ-ის ნამ-  
დვილი შვილი და შესაბამისად, არ არსებობს იმის პრეზუმფცია,  
რომ ეს ბავშვი დაბადებულია ამ ქორწინებაში.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომარ-  
თა ნ. ძ-მის წარმომადგენელმა ე. გ-მა და მოითხოვა დასახელე-  
ბული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი გადაწყვე-  
ტილებით დასტურდება, რომ ის კანონიერ ძალაშია შესული და  
საქმე განხილულია მხარეების დასწრების გარეშე.

### სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო რა წარმოდგენილ შუამდგომლობას და თან-  
დართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული  
შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა  
გამო:

საბერძნეთის ქალაქ სალონიკის პირველი ინსტანციის ერ-  
თნევრიანი სასამართლოს 2013 წლის 15 ნოემბრის გადაწყვე-  
ტილებით აღიარებულია, რომ პირველი მოსარჩელის, ნ. კ-ძ-უს  
არასრულწლოვანი შვილი, ..... ნელს საქართველოში, თბილისში  
დაბადებული ა. ძ-უ, არ არის მეორე მოსარჩელის, გ. გ-ის ნამ-  
დვილი შვილი და შესაბამისად, არ არსებობს იმის პრეზუმფცია,  
რომ ეს ბავშვი დაბადებულია ამ ქორწინებაში.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად, საბერძნეთის ქალაქ სალონიკის პირველი ინსტანციის ერთნევრიანი სასამართლოს 2013 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება ცნობილ უნდა იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ნ. ძ-მის წარმომადგენელ ე. გ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;

2. ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე საბერძნეთის ქალაქ სალონიკის პირველი ინსტანციის ერთნევრიანი სასამართლოს 2014 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც აღიარებულია, რომ პირველი მოსარჩელის, ნ. კ-ძ-უს არასრულწლოვანი შვილი, ..... წელს საქართველოში, თბილისში დაბადებული ა. ძ-უ, არ არის მეორე მოსარჩელის, გ. გ-ის ნამდვილი შვილი და შესაბამისად, არ არსებობს იმის პრეზუმფცია, რომ ეს ბავშვი დაბადებულია ამ ქორწინებაში;

3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## შპილება

### განჩინება

№ა-3888-შ-107-2014

18 თებერვალი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
თ. თოდრია,  
ბ. ალავიძე**

**დავის საგანი:** შვილად აყვანა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ვ. ა-მა და ა. ტ-მა განცხადებით მიმართეს საბერძნეთის ქ.სალონიკის პირველი ინსტანციის სასამართლოს და მოითხოვეს ა. ტ-ის მიერ ვ. ა-ის შვილად აყვანა.

საბერძნეთის ქ.სალონიკის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2014 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილებით განცხადება დაკმაყოფილდა, ვ. გ. ძე ა-ი (დაბადებული საქართველოში, ქ.თ-ში .....წ.-ს) გამოცხადდა ა. დ. ძე ტ-ის მიერ აყვანილ შვილად.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში. ამასთან, მხარის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილება ლეგალიზებულია კანონით დადგენილი წესით.

2014 წლის 17 დეკემბერს საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ვ. ა-ის წარმომადგენლმა – შ. შ-მა, რომელმაც მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა. შუამდგომლობის ავტორმა განმარტა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საბერძნეთის ქ.სალონიკის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2014 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის გარეშე შვილების ფაქტის რეგისტრაცია სა მოქალაქო რეესტრის სააგენტოში ვერ ხერხდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 29 დეკემბრის განჩინებით ვ. ა-ის წარმომადგენლის – შ. შ-ის შუამდგომლობა საბერძნეთის ქ.სალონიკის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2014 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის თაობაზე მიღებულ იქნა განსახილველად.

2015 წლის 12 თებერვალს საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოდგენილ იქნა ა. ტ-ის განცხადება, რომლითაც ა. ტ-მა საქმის მისი დასრულების გარეშე განხილვა და ამავდროულად, დაეთანხმა შუამდგომლობას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა გაეცნო წარმოდგენილ შუამდგომლობასა და თანდართულ მასალებს და მივიდა დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საბერძნეთის ქ.სალონიკის პირველი ინსტანციის ერთნევრიანი სასამართლოს 2014 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილებით განცხადება დაკმაყოფილდა, ვ. გ. ძე ა-ი (დაბადებული საქართველოში, ქ.თ-ში .....წ.-ს) გამოცხადდა ა. დ. ძე ტ-ის მიერ აყვანილ შვილად.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავდროულად, საქართველოს უზენაესი სასამართლო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამავდროულად მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით.

სამოქალაქო საქმეთა პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ დგინდება კანონის აღნიშნული დანაწესით გათვალისწინებული დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობა.

ამასთან, 2015 წლის 12 თებერვალს საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოდგენილი განცხადებით ა ტ-ი დაეთანხმა წარმოდგენილ შუამდგომლობას.

შესაბამისად, საქართველოს უზენაეს სასამართლოს მიაჩნია, რომ საბერძნეთის ქ.სალონიკის პირველი ინსტანციის ერთნევრიანი სასამართლოს 2014 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილება ცნობილ უნდა იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 69-ე მუხლის მიხედვით, განქორწინების საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-



თა პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლით, სა- მოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ვ. ა-ის წარმომადგენლის შ. შ-ის შუამდგომლობა საქარ- თველოს ტერიტორიაზე საბერძნეთის ქ.სალონიკის პირველი ინ- სტანციის ერთნევიანი სასამართლოს 2014 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილების ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდეს;

2. ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე საბერძნე- თის ქ.სალონიკის პირველი ინსტანციის ერთნევიანი სასამარ- თლოს 2014 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილება, რომლის საფუძ- ველზე ვ. გ. ძე ა-ი (დაბადებული საქართველოში, ქ.თ-ში .....წ.-ს) გამოცხადდა ა. დ. ძე ტ-ის მიერ აყვანილ შვილად.

3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **შვილად აყვანის გაუქმება**

### **განჩინება**

№ა-527-შ-13-2015

27 აპრილი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** შვილების გაუქმება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

სომხეთის რესპუბლიკის არაგანოტნის ოლქის საერთო ინ- სტანციის სასამართლოს 2013 წლის 31 მაისის გადაწყვეტილე- ბით:

1. დაკმაყოფილდა ს. ე-ის სარჩელი ხ. ს-ის, კ. ს-ისა და ქ.აშ- ტარაკის მერიის მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოს მი- მართ, რომლითაც მან მოითხოვა შვილად აყვანის (გაშვილების) გაუქმება;

2. გაუქმდა ქ.ბათუმის მმაჩის ორგანოში 19... წლის ... აგვისტოს განხორციელებული ს. ე-ის შვილად აყვანა (გაშვილება);

3. მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრათ ამ უკანასკნელის მიერ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 4000 დრამი;

4. დადგინდა, რომ გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში, იგი აღსრულდება სასამართლო აქტების იძულებითი აღსრულების სამსახურის მიერ მოვალის ხარჯზე.

ს. ე-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემომითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა ს. ე-ის სარჩელი ბ. ს-ის, კ. ს-ისა და ქ.აშტარაკის მერიის მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოს მიმართ შვილად აყვანის (გაშვილების) გაუქმების თაობაზე და გაუქმდა ქ.ბათუმის მმაჩის ორგანოში 19... წლის ... აგვისტოს განხორციელებული ს. ე-ის შვილად აყვანა (გაშვილება).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 26 მარტის განჩინებით ს. ე-ის შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ს. ე-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დგინდება, რომ სომხეთის რესპუბლიკის არაგანოტნის ოლქის საერთო ინსტანციის სასამართლოს 2013 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებით:

1. დაკმაყოფილდა ს. ე-ის სარჩელი ბ. ს-ის, კ. ს-ისა და ქ.აშტარაკის მერიის მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოს მიმართ, რომლითაც მან მოითხოვა შვილად აყვანის (გაშვილების) გაუქმება;

2. გაუქმდა ქ.ბათუმის მმაჩის ორგანოში 19... წლის ... აგვისტოს განხორციელებული ს. ე-ის შვილად აყვანა (გაშვილება).

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო

გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, სომხეთის რესპუბლიკის არაგანოტნის ოლქის საერთო ინსტანციის სასამართლოს 2013 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა ს. ე-ის სარჩელი ხ. ს-ის, კ. ს-ისა და ქ.აშტარაკის მერიის მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოს მიმართ, შვილად აყვანის (გაშვილების) გაუქმების თაობაზე და გაუქმდა ქ.ბათუმის მმჩის ორგანოში 19... წლის ... აგვისტოს განხორციელებული ს. ე-ის შვილად აყვანა (გაშვილება), საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

ამავდროულად, არსებობს დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევის კანონით გათვალისწინებული საფუძველი, კერძოდ, შუამდგომლობა აკმაყოფილებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შუამდგომლობის ავტორი მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ უნდა იქნეს და მიქცეს აღსასრულებლად სომხეთის რესპუბლიკის არაგანოტნის ოლქის საერთო ინსტანციის სასამართლოს 2013 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა ს. ე-ის სარჩელი ხ. ს-ის, კ. ს-ისა და ქ.აშტარაკის მერიის მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოს მიმართ, შვილად აყვანის (გაშვილების) გაუქმების თაობაზე და გაუქმდა ქ.ბათუმის მმჩის ორგანოში 19... წლის ... აგვისტოს განხორციელებული ს. ე-ის შვილად აყვანა (გაშვილება).

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 71-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ს. ე-ის შუამდგომლობა სომხეთის რესპუბლიკის არაგა-

ნოტის ოლქის საერთო ინსტანციის სასამართლოს 2013 წლის 31 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად სომხეთის რესპუბლიკის არაგანოტის ოლქის საერთო ინსტანციის სასამართლოს 2013 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა ს. ე-ის სარჩელი ხ. ს-ის, კ. ს-ისა და ქ.აშტარაკის მერიის მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოს მიმართ, შვილად აყვანის (გაშვილების) გაუქმების თაობაზე და გაუქმდა ქ.ბათუმის მმარის ორგანოში 19... წლის ... აგვისტოს განხორციელებული ს. ე-ის შვილად აყვანა (გაშვილება).

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ სარჩევდება.

## **შვილების მეურვეობის/მზრუნველობისა და მათთან ურთიერთობის წესის განსაზღვრა**

### **განჩინება**

№ა-1002-შ-22-2015

11 სექტემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**ნ. ბაქაქუერი,**  
**ბ. ალავიძე**

**დავის საგანი:** შვილების მეურვეობის/მზრუნველობისა და მათთან ურთიერთობის განსაზღვრა

### **აღწერილობითი ნაწილი:**

საბერძნეთის ქ. სალონიკის პირველი ინსტანციის ერთნევრიანი სასამართლოს 2009 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილებით ა. ბ-ისა და დ. ბ-ას ერთობლივი განცხადება დაკმაყოფილდა. ქ. თბილისში 1994 წლის 3 სექტემბერს სამგორის რაიონის მმარის ბიუროს მიერ მეუღლეებს შორის რეგისტრირებული ქორწინება შეწყვეტილად გამოცხადდა. აღიარებულ იქნა შვილების მეურვეობის/მზრუნველობისა და მათთან ურთიერთობის

ბის რეგულირებისათვის განმცხადებლების მიერ .. წლის .. მაისის შედგენილი პირადი ხელშეკრულება შემდეგი შინაარსით: ქ.სალონიკში, დღეს, .. წლის .. მაისს, ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი: 1) ა. ვ. ძე ბ-ი, დედის სახელი ე., დ. ს-ის ასულ ბ-ას მეუღლე, მცხოვრები ქ.სალონიკში, ნ., ა-ის ქ. №..., საქართველოს სათანადო ორგანოს მიერ .. წლის .. ივნისს გაცემული საქართველოს №... პასპორტის მფლობელი; 2) დ. ბ-ა, ს. და დ. ნ-ის ქალიშვილი, ა. ვ. ძე ბ-ის მეუღლე, მცხოვრები ქ.სალონიკში, კ-ის ქ. №..-ში, საქართველოს სათანადო ორგანოს მიერ 2005 წლის 10 ივნისს გაცემული საქართველოს №... პასპორტის მფლობელი, დავდეთ აღნიშნული ხელშეკრულება და შევთანხმდით შემდეგზე:

ჩვენ გადავწყვიტეთ რომ დავეშორდეთ ერთმანეთს, ურთიერთშეთანხმებული განქორწინებით. ვინაიდან აღნიშნული ქორწინებით (რომელიც შედგა 1994 წლის 3 სექტემბერს ქ. თბილისში საქართველოში, და რეგისტრირებულ იქნა ქ.თბილისში სამგორის რაიონის მმარჩ-ის ბიუროს მიერ) ჩვენ შეგვეძინა ორი შვილი: 1) ე. ბ-ი, დაბად. ...ნ. საქართველოში ქ.თბილისში, ამჟამად ის 14 წლისაა და 2) ე. ბ-ა, დაბად. ...ნ. საბერძნეთში, ამჟამად ის .. წლისაა.

ამიტომაც, კანონის შესაბამისად, დავდეთ წინამდებარე ხელშეკრულება, რომლითაც უნდა მოხდეს ჩვენი შვილების მეურვეობის და მათთან ურთიერთობის საკითხების მოგვარება, შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. ჩვენს შვილებზე მეურვეობის უფლება გადაეცა დედას, ანუ მხარეთა შორის მეორე პირს.

2. დედის და შვილების საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრა მათი დღევანდელი ადგილსამყოფელი, ანუ ერთი ბინა მდებარე ქ.სალონიკში, მისამართზე: ნ-ს მუნიციპალიტეტი, კ.-ოს ქუჩის №., მე-.. სართული, სრული ფართით 75 კვ.მ., რომელიც არის დაქირავებული დედის (ანუ მხარეთა შორის მეორე პირის) მიერ და სადაც ის ცხოვრობს ამჟამად ორ ბავშვთან ერთად.

3. მხარეთა შორის პირველ პირს, ანუ არასრულწლოვანი ბავშვების მამას, ეძლევა შესაძლებლობა ინახულოს ისინი სამჯერ კვირაში: ოთხშაბათ, შაბათ და კვირა დღეს, ქვემოთ ჩამოთვლილ საათებში: ოთხშაბათი – 15:00-21:00, შაბათი – 15:00-21:00, კვირა – 10:00-20:00, აღნიშნულ საათებში მამას შეუძლია გაიყვანოს ბავშვები სახლგარეთ და ასევე შეუძლია იყოს მათთან ერთად დედის სახლში. ასევე მას შეუძლია წაიყვანოს ბავშვები ღამისთევით თავის სახლში (რომელსაც ის ქირაობს და რომელიც მდებარეობს ქ.სალონიკში, მისამართზე: ნ-ს მუნიციპალი-

ტეტი, ა-იოს ქუჩის №..., მე-.. სართული, სრული ფართით დაახლოებით 60 კვ.მ.) ყოველი თვის ყოველ მე-3 შაბათ დღეს და უნდა მოიყვანოს ისინი კვირა დღეს 20:00-დღე. ასევე, ზაფხულის თვეებში მას შეუძლია წაიყვანოს ბავშვები 15 დღით თავის საცხოვრებელ სახლში, ანდა თან გაიყოს ნებისმიერ დასასვენებელ ადგილას.

4. და ორივე მშობელი იღებს თანაბარ ვალდებულებას, მათი განათლებისა და კარგი აღზრდისათვის და ბავშვების ინტერესები – მორალური, სულიერი და მატერიალური – მათი მიზანია ცხოვრებაში.

5. ყოველი პრობლემა რომელიც წარმოიქმნება ბავშვების მიმართ, უნდა მოაგვარონ მხოლოდ მათი ინტერესების გათვალისწინებით.

6. ჩვენ, მხარეთა შორის პირველი (იგულისხმება მამა), არ გაიტანს ოჯახიდან არაფერს, თავისი პირადი ნივთების გარდა. სხვა დანარჩენი ნივთი დარჩება სახლში და მოხმარდება მის შვილებს დედის ოჯახში.

7. ჩვენ, ორივე მხარე, თანახმა ვართ, რომ ბავშვებს ჰქონდეთ ორივე მხარის ბებია-ბაბუასთან და ყველა სხვა დანარჩენ ნათესავთან შეუფერხებელი ურთიერთობა. თუ აღნიშნულ შეფერხებას ექნება ადგილი, მაშინ ეს პრობლემა უნდა მოგვარდეს ტაქტიკურად და ბავშვების ინტერესების გათვალისწინებით, ორივე მხარის ნათესავების მიმართ, კარგი დამოკიდებულების, სიყვარულის და პატივისცემის გრძნობის გალრმავებისათვის.

8. ორივე მხარე იღებს ვალდებულებას, ურთიერთშეთანხმების თანახმად, ერთობლივად გაილოს ყველა ხარჯი, რაც შეეხება მათ კვებას, სამოსს, განათლებას და მათ დასვენებას, მხარეთა ეკონომიკური, სოციალური მდგომარეობის და ასევე ბავშვების ინტერესების გათვალისწინებით.

დ. ბ-ას წარმომადგენელმა გ. ო-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა საბერძნეთის ქ.სალონიკის პირველი ინსტანციის ერთწევრიანი სასამართლოს 2009 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა შვილების მეურვეობის/მზრუნველობისა და მათთან ურთიერთობის რეგულირებისათვის განმცხადებლების მიერ 2008 წლის 27 მაისს შედგენილი პირადი ხელშეკრულების აღიარების ნაწილში.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 1 ოქტომბრის განჩინებით

საბერძნეთის ქ.სალონიკის პირველი ინსტანციის ერთნევრიანი სასამართლოს 2009 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილება განქორწინების ნაწილში ცნობილ იქნა საქართველოს ტერიტორიაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 11 მაისის განჩინებით დ. ბ.-ას წარმომადგენელ გ. ო-ის შუამდგომლობა საბერძნეთის ქ.სალონიკის პირველი ინსტანციის ერთნევრიანი სასამართლოს 2009 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ შვილების მეურვეობის/მზრუნველობისა და მათთან ურთიერთობის რეგულირებისათვის განმცხადებლების მიერ ... წლის ... მაისს შედგენილი პირადი ხელშეკრულების აღიარების ნაწილში მიღებულ იქნა წარმოებაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნევს, რომ დ. ბ.-ას წარმომადგენელ გ. ო-ის შუამდგომლობა საბერძნეთის ქ.სალონიკის პირველი ინსტანციის ერთნევრიანი სასამართლოს 2009 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ შვილების მეურვეობის/მზრუნველობისა და მათთან ურთიერთობის რეგულირებისათვის განმცხადებლების მიერ ... წლის ... მაისს შედგენილი პირადი ხელშეკრულების აღიარების ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ საბერძნეთის ქ.სალონიკის პირველი ინსტანციის ერთნევრიანი სასამართლოს 2009 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილებით ა. ბ-ისა და დ. ბ-ას ერთობლივი განცხადება დაკმაყოფილდა. ქ.თბილისში .. წლის .. სექტემბერს სამგორის რაიონის მმჩის ბიუროს მიერ მეუღლეებს შორის რეგისტრირებული ქორწინება შეწყვეტილად გამოცხადდა. აღიარებულ იქნა შვილების მეურვეობის/მზრუნველობისა და მათთან ურთიერთობის რეგულირებისათვის განმცხადებლების მიერ ... წლის ... მაისს შედგენილი პირადი ხელშეკრულება შემდეგი შინაარსით: ქ.სალონიკში, დღეს, .. წლის .. მაისს, ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი: 1) ა. ვ. ძე ბ-ი, დედის სახელი ე., დ. ს-ის ასულ ბ-ას მეუღლე, მცხოვრები ქ.სალონიკში, ნ., ა-ის ქ. №.., საქართველოს სათანადო ორგანოს მიერ .. წლის .. ივნისს გაცემული საქართველოს №... პასპორტის მფლობელი; 2) დ. ბ-ა, ს. და დ. ნ-ის ქალიშვილი, ა. ვ. ძე ბ-ის მეუღლე, მცხოვრები ქ.სალონიკში, კ-ის ქ. №.-ში, საქართველოს სათანადო ორგანოს მიერ .. წლის .. ივნისს გაცემული საქართველოს №... პასპორტის მფლობელი, დავდეთ

აღნიშნული ხელშეკრულება და შევთანხმდით შემდეგზე:

ჩვენ გადავწყვიტეთ რომ დავშორდეთ ერთმანეთს, ურთიერთშეთანხმებული განქორწინებით. ვინაიდან აღნიშნული ქორწინებით (რომელიც შედგა .. წლის .. სექტემბერს ქ.თბილისში საქართველოში, და რეგისტრირებულ იქნა ქ.თბილისში სამგორის რაიონის მმარ-ის ბიუროს მიერ) ჩვენ შეგვეძინა ორი შვილი: 1) ე. ბ-ი, დაბად. ..წ. საქართველოში ქ.თბილისში, ამჟამად ის 14 წლისაა და 2) ე. ბ-ა, დაბად. ..წ. საბერძნეთში, ამჟამად ის 6 წლისაა.

ამიტომაც, კანონის შესაბამისად, დავდეთ წინამდებარე ხელშეკრულება, რომლითაც უნდა მოხდეს ჩვენი შვილების მეურვეობის და მათთან ურთიერთობის საკითხების მოგვარება, შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

9. ჩვენს შვილებზე მეურვეობის უფლება გადაეცა დედას, ანუ მხარეთა შორის მეორე პირს.

10. დედის და შვილების საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრა მათი დღევანდელი ადგილსამყოფელი, ანუ ერთი ბინა მდებარე ქ.სალონიკში, მისამართზე: ნ-ს მუნიციპალიტეტი, კ-ოს ქუჩის №.., მე-.. სართული, სრული ფართით 75 კვ.მ., რომელიც არის დაქირავებული დედის (ანუ მხარეთა შორის მეორე პირის) მიერ და სადაც ის ცხოვრობს ამჟამად ორ ბავშვთან ერთად.

11. მხარეთა შორის პირველ პირს, ანუ არასრულწლოვანი ბავშვების მამას, ეძლევა შესაძლებლობა ინახულოს ისინი სამჯერ კვირაში: ოთხშაბათ, შაბათ და კვირა დღეს, ქვემოთ ჩამოთვლილ საათებში: ოთხშაბათი – 15:00-21:00, შაბათი – 15:00-21:00, კვირა – 10:00-20:00, აღნიშნულ საათებში მამას შეუძლია გაიყვანოს ბავშვები სახლგარეთ და ასევე შეუძლია იყოს მათთან ერთად დედის სახლში. ასევე მას შეუძლია წაიყვანოს ბავშვები ღამისთევით თავის სახლში (რომელსაც ის ქირაობს და რომელიც მდებარეობს ქ.სალონიკში, მისამართზე: ნ-ს მუნიციპალიტეტი, ა-იოს ქუჩის №.., მე-.. სართული, სრული ფართით დაახლოებით 60 კვ.მ.) ყოველი თვის ყოველ მე-3 შაბათ დღეს და უნდა მოიყვანოს ისინი კვირა დღეს 20:00-დღე. ასევე, ზაფხულის თვეებში მას შეუძლია წაიყვანოს ბავშვები 15 დღით თავის საცხოვრებელ სახლში, ანდა თან გაიყოლოს ნებისმიერ დასასვენებელ ადგილას.

12. და ორივე მშობელი იღებს თანაბარ ვალდებულებას, მათი განათლებისა და კარგი აღზრდისათვის და ბავშვების ინტერესები – მორალური, სულიერი და მატერიალური – მათი მიზანია ცხოვრებაში.



13. ყოველი პრობლემა რომელიც წარმოიქმნება ბავშვების მიმართ, უნდა მოაგვარონ მხოლოდ მათი ინტერესების გათვალისწინებით.

14. ჩვენ, მხარეთა შორის პირველი (იგულისხმება მამა), არ გაიტანს ოჯახიდან არაფერს, თავისი პირადი ნივთების გარდა. სხვა დანარჩენი ნივთი დარჩება სახლში და მოხმარდება მის შვილებს დედის ოჯახში.

15. ჩვენ, ორივე მხარე, თანახმა ვართ, რომ ბავშვებს ჰქონდეთ ორივე მხარის ბები-ბაბუასთან და ყველა სხვა დანარჩენ ნათესავთან შეუფერხებელი ურთიერთობა. თუ აღნიშნულ შეფერხებას ექნება ადგილი, მაშინ ეს პრობლემა უნდა მოგვარდეს ტაქტიკურად და ბავშვების ინტერესების გათვალისწინებით, ორივე მხარის ნათესავების მიმართ, კარგი დამოკიდებულების, სიყვარულის და პატივისცემის გრძნობის გალრმავებისათვის.

ორივე მხარე იღებს ვალდებულებას, ურთიერთშეთანხმების თანახმად, ერთობლივად გაილოს ყველა ხარჯი, რაც შეეხება მათ კვებას, სამოსს, განათლებას და მათ დასვენებას, მხარეთა ეკონომიკური, სოციალური მდგომარეობის და ასევე ბავშვების ინტერესების გათვალისწინებით.

დ. ბ-ას წარმომადგენელმა გ. ო-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა საბერძნეთის ქ.სალონიკის პირველი ინსტანციის ერთწევრიანი სასამართლოს 2009 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა შვილების მეურვეობის/მზრუნველობისა და მათთან ურთიერთობის რეგულირებისათვის განმცხადებლების მიერ .. წლის .. მაისს შედგენილი პირადი ხელშეკრულების აღიარების ნაწილში.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 1 ოქტომბრის განჩინებით საბერძნეთის ქ.სალონიკის პირველი ინსტანციის ერთწევრიანი სასამართლოს 2009 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილება განქორწინების ნაწილში ცნობილ იქნა საქართველოს ტერიტორიაზე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა

იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად, საბერძნეთის ქ.სალონიკის პირველი ინსტანციის ერთწევრიანი სასამართლოს 2009 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილება შვილების მეურვეობის/მზრუნველობისა და მათთან ურთიერთობის რეგულირებისათვის განმცხადებლების მიერ .. წლის .. მაისს შედგენილი პირადი ხელშეკრულების აღიარების ნაწილში ცნობილ უნდა იქნას საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. დ. ბ-ას წარმომადგენელ გ. ო-ის შუამდგომლობა საბერძნეთის ქ.სალონიკის პირველი ინსტანციის ერთწევრიანი სასამართლოს 2009 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ შვილების მეურვეობის/მზრუნველობისა და მათთან ურთიერთობის რეგულირებისათვის განმცხადებლების მიერ .. წლის .. მაისს შედგენილი პირადი ხელშეკრულების აღიარების ნაწილში დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას საბერძნეთის ქ.სალონიკის პირველი ინსტანციის ერთწევრიანი სასამართლოს 2009 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილება, რომლითაც ა. ბ-ისა და დ. ბ-ას ერთობლივი განცხადება დაკმაყოფილდა. აღიარებულ იქნა შვილების მეურვეობის/მზრუნველობისა და მათთან ურთიერთობის რეგულირებისათვის განმცხადებლების მიერ .. წლის .. მაისს შედგენილი პირადი ხელშეკრულება შემდეგი შინაარსით: ქ.სალონიკში, დღეს, .. წლის .. მაისს, ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი: 1) ა. ვ. ძე ბ-ი, დედის სახელი ე., დ. ს-ის ასულ ბ-ას მეუღლე, მცხოვრები ქ.სალონიკში, ნ., ა-ის ქ. №.., საქართველოს სათანადო ორგანოს მიერ .. წლის .. ივნისს გაცემული საქართველოს №... პასპორტის მფლობელი; 2) დ. ბ-ა, ს. და დ. ნ-ის ქალიშვილი, ა. ვ. ძე ბ-ის მეუღლე, მცხოვრები ქ.სალონიკში, კ-ის ქ. №..-ში, საქართველოს სათანადო ორგანოს მიერ .. წლის .. ივნისს გაცემული საქართველოს №.. პასპორტის

მფლობელი, დავდეთ აღნიშნული ხელშეკრულება და შევთანხმდით შემდეგზე:

ჩვენ გადავწყვიტეთ რომ დავშორდეთ ერთმანეთს, ურთიერთშეთანხმებული განქორწინებით. ვინაიდან აღნიშნული ქორწინებით (რომელიც შედგა .. წლის .. სექტემბერს ქ.თბილისში საქართველოში, და რეგისტრირებულ იქნა ქ.თბილისში სამგორის რაიონის მმარჩ-ის ბიუროს მიერ) ჩვენ შეგვეძინა ორი შვილი: 1) ე. ბ-ი, დაბად. ..ნ. საქართველოში ქ.თბილისში, ამჟამად ის 14 წლისაა და 2) ე. ბ-ა, დაბად. ..ნ. საბერძნეთში, ამჟამად ის 6 წლისაა.

ამიტომაც, კანონის შესაბამისად, დავდეთ წინამდებარე ხელშეკრულება, რომლითაც უნდა მოხდეს ჩვენი შვილების მეურვეობის და მათთან ურთიერთობის საკითხების მოგვარება, შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

16. ჩვენს შვილებზე მეურვეობის უფლება გადაეცა დედას, ანუ მხარეთა შორის მეორე პირს.

17. დედის და შვილების საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრა მათი დღევანდელი ადგილსამყოფელი, ანუ ერთი ბინა მდებარე ქ.სალონიკში, მისამართზე: ნ-ს მუნიციპალიტეტი, კ-ოს ქუჩის №.., მე-.. სართული, სრული ფართით 75 კვ.მ., რომელიც არის დაქირავებული დედის (ანუ მხარეთა შორის მეორე პირის) მიერ და სადაც ის ცხოვრობს ამჟამად ორ ბავშვთან ერთად.

18. მხარეთა შორის პირველ პირს, ანუ არასრულწლოვანი ბავშვების მამას, ეძლევა შესაძლებლობა ინახულოს ისინი სამჯერ კვირაში: ოთხშაბათ, შაბათ და კვირა დღეს, ქვემოთ ჩამოთვლილ საათებში: ოთხშაბათი – 15:00-21:00, შაბათი – 15:00-21:00, კვირა – 10:00-20:00, აღნიშნულ საათებში მამას შეუძლია გაიყვანოს ბავშვები სახლგარეთ და ასევე შეუძლია იყოს მათთან ერთად დედის სახლში. ასევე მას შეუძლია წაიყვანოს ბავშვები ღამისთევით თავის სახლში (რომელსაც ის ქირაობს და რომელიც მდებარეობს ქ.სალონიკში, მისამართზე: ნ-ს მუნიციპალიტეტი, ა-იოს ქუჩის №.., მე-.. სართული, სრული ფართით დაახლოებით 60 კვ.მ.) ყოველი თვის ყოველ მე-3 შაბათ დღეს და უნდა მოიყვანოს ისინი კვირა დღეს 20:00-დე. ასევე, ზაფხულის თვეებში მას შეუძლია წაიყვანოს ბავშვები 15 დღით თავის საცხოვრებელ სახლში, ანდა თან გაიყოლოს ნებისმიერ დასასვენებელ ადგილას.

19. და ორივე მშობელი იღებს თანაბარ ვალდებულებას, მათი განათლებისა და კარგი აღზრდისათვის და ბავშვების ინტერესები – მორალური, სულიერი და მატერიალური – მათი მიზან-

ნია ცხოვრებაში.

20. ყოველი პრობლემა რომელიც წარმოიქმნება ბავშვების მიმართ, უნდა მოაგვარონ მხოლოდ მათი ინტერესების გათვალისწინებით.

21. ჩვენ, მხარეთა შორის პირველი (იგულისხმება მამა), არ გაიტანს ოჯახიდან არაფერს, თავისი პირადი ნივთების გარდა. სხვა დანარჩენი ნივთი დარჩება სახლში და მოხმარდება მის შვილებს დედის ოჯახში.

22. ჩვენ, ორივე მხარე, თანახმა ვართ, რომ ბავშვებს ჰქონდეთ ორივე მხარის ბებია-ბაბუასთან და ყველა სხვა დანარჩენ ნათესავთან შეუფერხებელი ურთიერთობა. თუ აღნიშნულ შეფერხებას ექნება ადგილი, მაშინ ეს პრობლემა უნდა მოგვარდეს ტაქტიკურად და ბავშვების ინტერესების გათვალისწინებით, ორივე მხარის ნათესავების მიმართ, კარგი დამოკიდებულების, სიყვარულის და პატივისცემის გრძნობის გალრმავებისათვის.

ორივე მხარე იღებს ვალდებულებას, ურთიერთშეთანხმების თანახმად, ერთობლივად გაიღოს ყველა ხარჯი, რაც შეეხება მათ კვებას, სამოსს, განათლებას და მათ დასვენებას, მხარეთა ეკონომიკური, სოციალური მდგომარეობის და ასევე ბავშვების ინტერესების გათვალისწინებით.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## ალიმენტის გადახდის დაკისრება

### განჩინება

№ა-2171-შ-47-2015

30 ივლისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ნ. ბაქაძური

დავის საგანი: ალიმენტის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

უზბეკისტანის ქ.ტაშკენტის მეურაიონული სასამართლოს

2015 წლის 5 მარტის გადაწყვეტილებით ო.ლ-ას სარჩელი გ.ნ-ის მიმართ, არასრულწლოვანი შვილის რჩენისათვის ალიმენტის დაკისრების თაობაზე, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გ. ნ-ს ო. ლ-ას სასარგებლოდ არასრულწლოვანი დ. ნ-ის (დაბ. ....) რჩენისათვის ყოველთვიურად, 2014 წლის 29 მაისიდან დაეკისრა ალიმენტის – ყოველგვარი გამომუშავების ან შემოსავლის 1/4-ის გადახდა შვილის სრულწლოვანებამდე.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ო. ლ-ამ და მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი, სათანადოდ დამოწმებული მტკიცებულებებით დასტურდება, რომ მოპასუხეს საქართველოში გააჩნია საცხოვრებელი ადგილი; ის ჯეროვნად იყო ინფორმირებული საქმის განხილვის დროისა და ადგილი თაობაზე, თუმცა სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადებულა; ირკვევა, რომ უზბეკისტანის ქ.ტაშკენტის მეურაიონული სასამართლოს 2015 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა და შესულია კანონიერ ძალაში, ამასთანავე, გადაწყვეტილება მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 19 ივნისის განჩინებით ო.ლ-ას შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში, რის თაობაზეც, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, ეცნობა მოწინააღმდეგე მხარეს, მასვე ჩაბარდა ო. ლ-ას შუამდგომლობა თანდართული მასალებით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ო. ლ-ას შუამდგომლობა უზბეკისტანის ქ.ტაშკენტის მეურაიონული სასამართლოს 2015 წლის 5 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

უზბეკისტანის ქ.ტაშკენტის მეურაიონული სასამართლოს 2015 წლის 5 მარტის გადაწყვეტილებით ო. ლ-ას სარჩელი გ. ნ-ის მიმართ, არასრულწლოვანი შვილის რჩენისათვის ალიმენტის დაკისრების თაობაზე, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გ. ნ-ს ო. ლ-ას სასარგებლოდ არასრულწლოვანი დ. ნ-ის (დაბ. ....) რჩენისათვის ყოველთვიურად, 2014 წლის 29 მაისიდან დაეკისრა ალიმენტის – ყოველგვარი გამომუშავების ან შემოსავლის 1/4-ის

გადახდა შვილის სრულწლოვანებამდე.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ო. ლ-ამ და მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი, სათანადოდ დამონებული მტკიცებულებებით დასტურდება, რომ მოპასუხეს საქართველოში გააჩნია საცხოვრებელი ადგილი; ის ჯეროვნად იყო ინფორმირებული საქმის განხილვის დროისა და ადგილი თაობაზე, თუმცა სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადებულა; ირკვევა, რომ უზბეკისტანის ქ.ტაშკენტის მეურაიონული სასამართლოს 2015 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა და შესულია კანონიერ ძალაში, ამასთანავე, გადაწყვეტილება მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. რაც შეეხება მითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებას, პალატა ასევე მიიჩნევს, რომ არც ამ ნაწილში არსებობს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, ვინაიდან, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას, ამავე კანონის 71-ე მუხლით კი დადგენილია წინაპირობები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევა.

საკასაციო პალატა საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში კანონის ზემოხსენებული დანაწესები დაცულია. ამდენად, უზბეკისტანის ქ.ტაშკენტის მეურაიონული სასამართლოს 2015 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სა-

მოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე მუხლებით და

**და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ო. ლ-ას შუამდგომლობა უზბეკისტანის ქ.ტაშკენტის მეფურაიონული სასამართლოს 2015 წლის 5 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად უზბეკისტანის ქ.ტაშკენტის მეფურაიონული სასამართლოს 2015 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება, რომლითაც გ. ნ-ს ო. ლ-ას სასარგებლოდ არასრულწლოვანი დ. ნ-ის (.....) რჩენისათვის ყოველთვიურად, 2014 წლის 29 მაისიდან დაეკისრა ალიმენტის – ყოველგვარი გამომუშავების ან შემოსავლის 1/4-ის გადახდა შვილის სრულწლოვანებამდე.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## ალიმენტის გადახდის დაკისრება

### ბანჩინება

№ა-1295-შ-30-2015

13 მაისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ბაქაქუჩი,  
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ალიმენტის დაკისრება

#### აღწერილობითი ნაწილი:

ქ. მოსკოვის გაგარინსკის რაიონის №218 სასამართლო უბნის მომრიგებელი სასამართლოს 2010 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით საქართველოს მოქალაქე ა. კ.-ს (დაბადებულს .. წლის .. იანვარს) ნ. ს.-ას სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილის – .. წლის .. ივლისს დაბადებული ს. კ.-ის სარჩენად დაეკისრა ალიმენტის – 8660 რუბლის გადახდა, რომელიც შეესაბამება ყოველთვიური ხელფასის ორ მინიმალურ ოდენობას, 2009 წლის 30 დეკემბრიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე.

ნ. ს.-ამ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ქ. მოსკოვის გაგარინსკის რაიონის №218 სასამართლო უბნის მომრიგებელი სასამართლოს 2010 წლის 26 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, რომ ა. კ.-ი სათანადო წესით ინფორმირებული იყო საქმის განხილვის თაობაზე. ასევე წარმოდგენილია ცნობა, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2010 წლის 6 აპრილს და რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 აპრილის განჩინებით ნ. ს.-ას შუამდგომლობა ქ. მოსკოვის გაგარინსკის რაიონის №218 სასამართლო უბნის მომრიგებელი სასამართლოს 2010 წლის 26 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში. აღნიშნული განჩინება, ნ. ს.-ას შუამდგომლობა და თანდართული მასალები კანონით დადგენილი წესით გაეგზავნა მონინაალმდევე მხარეს.



ა. კ-ს გზავნილი ჩაბარდა კანონით დადგენილი წესით და მას არ წარმოუდგენია არც მოსაზრება და არც რაიმე შუამდგომლობით მოუმართავს საკასაციო სასამართლოსათვის.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნევს, რომ ნ. ს-ას შუამდგომლობა ქ.მოსკოვის გაგარინსკის რაიონის №218 სასამართლო უბნის მომრიგებელი სასამართლოს 2010 წლის 26 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ ქ.მოსკოვის გაგარინსკის რაიონის №218 სასამართლო უბნის მომრიგებელი სასამართლოს 2010 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით საქართველოს მოქალაქე ა. კ-ს (დაბადებულს .. წლის .. იანვარს) ნ. ს-ას სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილის – .. წლის .. ივლისს დაბადებული ს. კ-ის სარჩენად დაეკისრა აღიმენტის – 8660 რუბლის გადახდა, რომელიც შეესაბამება ყოველთვიური ხელფასის ორ მინიმალურ ოდენობას, 2009 წლის 30 დეკემბრიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2010 წლის 6 აპრილს და რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

ნ. ს-ამ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ქ.მოსკოვის გ-ის რაიონის №218 სასამართლო უბნის მომრიგებელი სასამართლოს 2010 წლის 26 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, რომ ა. კ-ი სათანადო წესით ინფორმირებული იყო საქმის განხილვის თაობაზე. ასევე წარმოდგენილია ცნობა, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2010 წლის 6 აპრილს და რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 აპრილის განჩინებით ნ. ს-ას შუამდგომლობა ქ.მოსკოვის გ-ის რაიონის №218 სასამართლო უბნის მომრიგებელი სასამართლოს 2010 წლის 26 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში. აღნიშნული განჩინება, ნ. ს-ას შუამდგომლობა და თანდართული მასალები კანონით დადგენილი წესით გაეგზავნა მოწინააღმდეგე მხარეს. ადრესატს გზავნილი ჩაბარდა კანონით დადგენილი წესით. ა. კ-მა არ

წარმოადგინა არც მოსაზრება და არც რაიმე შუამდგომლობით მოუშართავს საკასაციო სასამართლოსათვის.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად, ქ.მოსკოვის გ-ის რაიონის №218 სასამართლო უბნის მომრიგებელი სასამართლოს 2010 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება ცნობილ უნდა იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ნ. ს-ას შუამდგომლობა ქ.მოსკოვის გაგარინსკის რაიონის №218 სასამართლო უბნის მომრიგებელი სასამართლოს 2010 წლის 26 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად ქ.მოსკოვის გაგარინსკის რაიონის №218 სასამართლო უბნის მომრიგებელი სასამართლოს 2010 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს მოქალაქე ა. კ-ს (დაბადებულს .. წლის .. იანვარს) ნ. ს-ას სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილის – .. წლის .. ივლისს დაბადებული ს. კ-ის სარჩენად დაეკისრა ალიმენტის – 8660 რუბლის გადახდა, რომელიც შეესაბამება ყოველთვიური ხელფასის ორ მინიმალურ ოდენობას, 2009 წლის 30 დეკემბრიდან ბავშვის სრულწლოვანებაამდე.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# ალიმენტის გადახდის დაკისრება

## ბანჩინება

№ა-3615-შ-99-2014

23 იანვარი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
თ. თოდრია,  
ნ. ბაქაქუჩი

**დავის საგანი:** ალიმენტის გადახდა

### აღწერილობითი ნაწილი:

რუსეთის ფედერაციის ვოლგოგრადის ოლქის №18 უბნის მომრიგებელი სასამართლოს 2014 წლის 17 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ს. ს-ს სარჩელი მოპასუხე, მ. კ-ის მიმართ დაკმაყოფილდა. 1972 წლის 25 ივნისს, საქართველოში დაბადებულ მ. კ-ს დაეკისრა, მოსარჩელე ს. ს-ას სასარგებლოდ ალიმენტის გადახდა, არასრულწლოვანი შვილის – 2003 წლის 25 სექტემბერს დაბადებული ვ. კ-ის სარჩენად, მოპასუხის ყოველთვიური ხელფასის ან/და მისი ყოველგვარი შემოსავლის 1/2 ნაწილის ოდენობით, 2014 წლის 17 თებერვლიდან მის სრულწლოვანებამდე. მ. კ-ს დაევალა, შესაბამისი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, რუსეთის ფედერაციის საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი დარიცხვის ნორმატივების თანახმად, 100 (რუსული) რუბლის ანაზღაურება. ალიმენტის დაკისრების ნაწილში დადგინდა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მომართა რუსეთის ფედერაციის ვოლგოგრადის ოლქის №18 უბნის მომრიგებელი სასამართლოს მოსამართლე – ი. ა. კ-ამ, რომელმაც მოითხოვა, რუსეთის ფედერაციის ვოლგოგრადის ოლქის №18 უბნის მომრიგებელი სასამართლოს 2014 წლის 17 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, რუსეთის ფედერაციის საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი დარიცხვის ნორმატივების თანახმად, მ. კ-ისათვის 100 (რუსული) რუბლის დაკისრების ნაწილში.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებუ-

ლებებით ირკვევა, რომ მოპასუხე – მ. კ-ი საქმის განხილვის დროისა და ადგილის თაობაზე სათანადო წესით იყო ინფორმირებული. ასევე ირკვევა, რომ რუსეთის ფედერაციის ვოლგოგრადაის ოლქის №18 უბნის მომრიგებელი სასამართლოს 2014 წლის 17 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2014 წლის 07 აგვისტოს და ექვემდებარება აღსრულებას. ამავდროულად, ირკვევა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება რუსეთის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა, ხოლო მოპასუხე – მ. კ-ი საქართველოს მოქალაქეა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 ნოემბრის განჩინებით მოცემული შუამდგომლობა მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა გაცნო წარმოდგენილ შუამდგომლობასა და თანდართულ მასალებს და მივიდა დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

რუსეთის ფედერაციის ვოლგოგრადაის ოლქის №18 უბნის მომრიგებელი სასამართლოს 2014 წლის 17 მატის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ს. ს-ს სარჩელი მოპასუხე, მ. კ-ის მიმართ დაკმაყოფილდა. 1972 წლის 25 ივნისს, საქართველოში დაბადებულ მ. კ-ს დაეკისრა, მოსარჩელე ს. ს-ას სასარგებლოდ ალიმენტის გადახდა, არასრულწლოვანი შვილის – 2003 წლის 25 სექტემბერს დაბადებული ვ. კ-ის სარჩენად, მოპასუხის ყოველთვიური ხელფასის ან/და მისი ყოველგვარი შემოსავლის j ნაწილის ოდენობით, 2014 წლის 17 თებერვლიდან მის სრულწლოვანებამდე. მ. კ-ს დაევალა, შესაბამისი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, რუსეთის ფედერაციის საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი დარიცხვის ნორმატივების თანახმად, 100 (რუსული) რუბლის ანაზღაურება. ალიმენტის დაკისრების ნაწილში დადგინდა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივი აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგენილია, რომ მოპასუხე – მ. კ-ი საქმის განხილვის დროისა და ადგილის თაობაზე სათანადო წესით იყო ინფორმირებული. ასევე დადგენილია, რომ რუსეთის ფედერაციის ვოლგოგრადაის ოლქის №18 უბნის მომრიგებელი სასამართლოს 2014 წლის 17 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2014 წლის 7 აგვისტოს და ექვემდებარება

აღსრულებას. ამავდროულად, დადგენილია, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება რუსეთის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა, ხოლო მოპასუხე – მ. კ.-ი საქართველოს მოქალაქეა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავ ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. რაც შეეხება მითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებას, სამოქალაქო საქმეთა პალატა ასევე მიიჩნევს, რომ არც ამ ნაწილში არსებობს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, ვინაიდან, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას. ამავ კანონის 71-ე მუხლით კი, დადგენილია წინაპირობები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევა. სამოქალაქო საქმეთა პალატა საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, კანონის ზემოთ ხსენებული დანაწესები დაცულია. ამდენად, რუსეთის ფედერაციის ვოლგოგრადის ოლქის №18 უბნის მომრიგებელი სასამართლოს 2014 წლის 17 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. რუსეთის ფედერაციის ვოლგოგრადის ოლქის №18 უბნის

მომრიგებელი სასამართლოს მოსამართლე – ი-ა. კ-ას შუამდგომლობა მ. კ-ისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, რუსეთის ფედერაციის საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი დარიცხვის ნორმატივების თანახმად, 100 (რუსული) რუბლის დაკისრების ნაწილში, რუსეთის ფედერაციის ვოლგოგრადის ოლქის №18 უბნის მომრიგებელი სასამართლოს 2014 წლის 17 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად რუსეთის ფედერაციის ვოლგოგრადის ოლქის №18 უბნის მომრიგებელი სასამართლოს 2014 წლის 17 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც მ. კ-ს დაევალა, შესაბამისი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, რუსეთის ფედერაციის საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი დარიცხვის ნორმატივების თანახმად, 100 (რუსული) რუბლის ანაზღაურება.

3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

## **სამკვიდრო ქონების მეურვის დანიშვნა და მისი უფლება-მოვალეობის განსაზღვრა**

### **განჩინება**

№ა-1999-შ-41-2015

8 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**ბ. ალავიძე,**

**ზ. ძლიერიშვილი**

**დავის საგანი:** სამკვიდრო ქონების მეურვის დანიშვნა და მისი უფლებამოსილების განსაზღვრა

### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. გერმანიის რაინის ლინცის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით:

1.1 რაინის ლინცის საქალაქო სასამართლოს სამკვიდრო საქმეთა განმხილველი სასამართლოს მიერ 2014 წლის 8 აპრილს

მიღებული გადაწყვეტილების თანახმად სამკვიდრო ქონების მეურვედ დანიშნულ ადვოკატ ჰ. ა. ჰ-ს (ჰ-ს) (დაბადებული 1955 წლის 7 იანვარს, გერმანიის პასპორტის ნომერი ...) სამკვიდრო სასამართლოს მიერ უფლება მიეცა, დახუროს ბატონი ს. ნ-ის (დაბადებული 1948 წლის 11 სექტემბერს, გერმანიის პასპორტი ნომერი ... და ირანის პასპორტი ნომერი ...) კუთვნილი ანგარიშები საქართველოს ბანკში (ბანკ ოფ ჩეორგია):

1.2 IBAN: ..., IBAN: ..., IBAN: ....., IBAN: ... და გადაიტანოს ანგარიშებზე არსებული თანხა სამკვიდრო სამეურვეო ანგარიშზე: ფრანკფურტერ შპარკასე (ფრანკფურტერ შპარკასესე), მაინის ფეანკფურტი IBAN: ..., BIC: .....

2. გერმანიის რაინის ლინცის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 7 აპრილის განკარგულებით:

2.1 2014 წლის 19 თებერვალს გარდაცვლილი ს. ნ-ის სამკვიდრო ქონების მეურვეს, ადვოკატს, ქალბატონ ჰ. ა. ჰ-ს (ჰ-ს) განეცხადა დასტური იმასთან დაკავშირებით, რომ 2014 წლის 8 აპრილს რაინის ლინცის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე მისი სამკვიდრო ქონების მეურვედ დანიშვნა ძალაშია და გრძელდება.

3. ჰ. ა. ჰ-მა (ჰ-მა), წარმომადგენელ ნ. ს-ის მეშვეობით, შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემომითიებული გადაწყვეტილებისა და განკარგულების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა დასახელებულ ნაწილში.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 3 ივნისის განჩინებით ჰ. ა. ჰ-ის (ჰ-ს) შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

5. საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ჰ. ა. ჰ-ის (ჰ-ს) შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

6. დადგენილია, რომ გერმანიის რაინის ლინცის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით:

6.1 რაინის ლინცის საქალაქო სასამართლოს სამკვიდრო საქმეთა განმხილველი სასამართლოს მიერ 2014 წლის 8 აპრილს მიღებული გადაწყვეტილების თანახმად სამკვიდრო ქონების მეურვედ დანიშნულ ადვოკატ ჰ. ა. ჰ-ს (ჰ-ს) (დაბადებული 19... წლის ... იანვარს, გერმანიის პასპორტის ნომერი ...) სამკვიდრო სასამართლოს მიერ უფლება მიეცა, დახუროს ბატონი ს... ნ-ის (დაბადებული 19... წლის ... სექტემბერს, გერმანიის პასპორტი

ნომერი ... და ირანის პასპორტი ნომერი ...) კუთვნილი ანგარიშები საქართველოს ბანკში (ბანკ ოფ ჩეორგია):

6.2 IBAN: ..., IBAN: ..., IBAN: GE95BG0000000260311501, IBAN: ... და გადაიტანოს ანგარიშებზე არსებული თანხა სამკვიდრო სამეურვეო ანგარიშზე: ფრანკფურტერ შპარკასე (ჭრანკფურტერ შპარკასე), მაინის ფეანკფურტი IBAN: ..., BIC: .....

7. გერმანიის რაინის ლინცის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 7 აპრილის განკარგულებით:

7.1 2014 წლის 19 თებერვალს გარდაცვლილი ს. ნ-ის სამკვიდრო ქონების მეურვეს, ადვოკატს, ქალბატონ ჰ. ა. ჰ-ს განეცხადა დასტური იმასთან დაკავშირებით, რომ 2014 წლის 8 აპრილს რაინის ლინცის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე მისი სამკვიდრო ქონების მეურვედ დანიშნა ძალაშია და გრძელდება.

8. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

9. ამდენად, გერმანიის რაინის ლინცის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება და გერმანიის რაინის ლინცის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 7 აპრილის განკარგულება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ჰ. ა. ჰ-ის (ჰ.ს) შუამდგომლობა გერმანიის რაინის ლინცის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვე-





## საკიეზელი

თანხის დაკისრება .....	3; 5; 13; 16; 18; 21
ზიანის ანაზღაურება .....	28; 31; 37; 41;
განქორწინება .....	43; 45; 48; 51; 53; 58; 60; 63; 65; 68 70; 74; 76; 78; 81; 83; 86; 88; 91
მამობის დადგენა .....	93
შვილება .....	95
შვილად აყვანის გაუქმება .....	97
შვილების მეურვეობის/მზრუნველობისა და მათთან ურთიერთობის წესის განსაზღვრა .....	100
ალიმენტის გადახდის დაკისრება .....	108; 112; 115
სამკვიდრო ქონების მეურვის დანიშვნა და მისი უფლება-მოვალეობის განსაზღვრა .....	118